# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 13 სექტემბერი 2007 №211 (3134) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

# 1 საქართველოსთვის ამხანაგობას პირდაპირი მნიშვნელობა აქვს 1

## დებიუტანტების ეროვნული ნაკრები და დებიუტანტის გოლი: აზერბაიჯანს დიმიტრი ტატანაშვილმა დაუტატანა




წამიც და, ბრანიმირ სუბაშიჩი გიორგი მჭარიძეს გაუტანს




## ფრანგული მადლობა ნაარგენტინალ საქართველოს

**FUE DURISIMO**, ანუ ურთულესი, თითქმის შეუძლებელი, ასე ითარგმნება ეს სიტყვა არგენტინულიდან ქართულად. ეს სიტყვა საქართველო — არგენტინის მატჩის მიმოხილვის ლამის ყველა სათაურში მოხვდა. ფრანგი მედიელები და ქომაგები კი ჩვენებს მადლობას უხდიან ალალი და გულიანი თამაშისთვის.

ამასობაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი უკვე მომავალ მატჩზე ფიქრობს — საფიქრალი, იცოცხლეთ, აქვს. ზეგ არგენტინასთან ნაომარ „ლელოებს" მეტი თუ არა, არანაკლები ჯახი აქვს ირლანდიასთან, რომელიც იცით, სარაგბო გრანდია.

მალხაზ ჭეიშვილთან ინტერვიუს მეცამეტე გვერდზე წაიკითხავთ...

# ეს მსოფლიო ჯერ არ მოგვისმენია

## ვინ მოიწყობს კარნავალს რიო დე ჟანეიროში?

დღეიდან კვირის ბოლომდე მსოფლიო ძიუდოს ცენტრი რიო დე ჟანეირო ხდება. ოთხი დღის განმავლობაში ბრაზილიურ ტატამზე პლანეტის ყველა უძლიერესი კიმონოსანი გავა და რვა წონითი კატეგორიის ჩემპიონ-პრიზიორობისთვის ფიცხელი ბრძოლები გაჩაღდება.

საქართველოს ნაკრები სეზონის უმთავრეს ტურნირზე ორი წლის წინანდელისგან განსხვავებული შემადგენლობით ჩავიდა, თუმც შოთა ხაბარელის სამწყსო აუცილებლად განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იქნება — ქართულ რვეულში ხომ ხუთი ისეთი ძიუდოისტია, წლევანდელ ევროპირველობაზე მედალი რომ მოიპოვა. ზაზა კედელაშვილი სულაც ევროპის ორგზის ჩემპიონია და მსოფლიოზე დებიუტი სწორედ ახლა ექნება.

მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი საქართველოს ჰიმნი ჯერ არასოდეს დაუკრავთ. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ოქრო ბრაზილიაში უნდა გამოდნეს.



SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშებს
წარმოგიდგენთ VEGA SLOT


საქართველო მარცხისგან დიმიტრი ტატანაშვილის (№46) გოლმა იხსნა

## ამხანაგური მატჩი

ბაქო. 12 სექტემბერი. ტოფიკ ბახრამოვი. 20 საათი

### აზერბაიჯანი 1:1 საქართველო

1:0 სუბაშიჩი (45), 1:1 ტატანაშვილი (47)

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი: ველიევი, ს. აბასოვი, ჰაშიმოვი, ა. კერიმოვი (ყულიევი 88), ჩერტოგანოვი, იმამალიევი (რ. აბასოვი 62), ბახშიევი, ყურბანოვი (რ. კერიმოვი 75), სულთანოვი (ისმაილოვი 66), ს. ალიევი (მამედოვი 79), სუბაშიჩი (შუქუროვი 84) | საქართველო: მაკარიძე, ხიზანეიშვილი, ასათიანი, ა. კვახაძე (დ. ლომაია 75), კანდელაკი, კანკავა, ცქიტიშვილი (ბოლქვაძე 79), დოლიძე (სალუქვაძე 76), ყენია (დეკანოსიძე 60), ჯაკობია (მარევალაძე 62), ტატანაშვილი |
| მწვრთნელი: შაჰინ დინიევი | მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი |

გაფრთხილება: კანკავა (10), ჩერტოგანოვი (11), ასათიანი (90)

მსაჯი: ვ. კოვალენკო (უზბეკეთი)


გიორგი მაკარიძეს ერთი შეცდომა გოლად დაუჯდა

# ზედიზედ მესამედ და ზედიზედ მეორედ

## საქართველო აზერბაიჯანს დაეტოლა

მეორე ტაიმის დაწყება და ქართველთა ელვა-შეტევა ერთი იყო: ლევან ყენია გრიგოლ დოლიძესთან გათამაშებული კედლის მერე მარჯვენა ფრთიდან ცოტა საჯარიმოსკენ შეიჭრა, ლაშა ჯაკობიას ჩააწოდა, რომლის დარტყმული აზერბაიჯანელთა მეკარეს მოხვდა, მერე ჯაკობიას მხარიდან აისხლიტა და დიმიტრი ტატანაშვილმა ფორვარდის ალღო გამოაჩინა — ცარიელ კარში ჩააჭედა.

ასე გაათანაბრა საქართველომ. მდგერის როლში კი გიორგი მაკარიძის შეცდომის გამო აღმოჩნდა: ბრანიმირ სუბაშიჩმა 17 წლის მეკარეს დაასწრო, თავით ააცილა ბურთი და 1:0 — ნაღდად კურიოზული გოლი იყო, როგორიც ვაი, რომ საქართველოს ნაკრების კარში არაერთხელ გასულა ხოლმე — ეს 45-ე წუთზე მოხდა.

ისევე როგორც უკრაინასთან, კლაუს ტოპმიოლერმა ამჯერადაც 4-4-2 სქემა არჩია: დაცვაში ფლანგები ოთარ ხიზანეიშვილისა და ილია კანდელაკს მიანდო, ცენტრში კი მალხაზ ასათიანი და ალექსანდრე კვახაძე იდგნენ. ნახევარდაცვაში საყრდენობა ჯაბა კანკავას დაევალა, გამთამაშებლად ლევან ცქიტიშვილი იყო, მარჯვნივ-მარცხნივ გრიგოლ დოლიძე და ლევან ყენია თამაშობდნენ, თავდამსხმელის წყვილი კი ტატანაშვილმა და ჯაკობიამ შეადგინეს.

გიორგი მაკარიძე, ალექსანდრე კვახაძე, დავით ლომაია, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე, გიორგი დეკანოსიძე — ამათ პირველად ითამაშეს ეროვნულ ნაკრებში.

ქართველები ორივე ტაიმში ფლობდნენ უპირატესობას, ბურთიც უმეტესად ჩვენის ფეხებთან ტრიალებდა და შესვენებამდე სამი კარგი მომენტიც შექმნეს: დოლიძისა და კანდელაკის დარტყმულები მეკარემ მოიგერია, ჯაკობიას კი მცველმა დაასწრო, თორემ გოლი გარდაუვალი ჩანდა.

მასპინძლები უმეტესად კონტრშეტევებით ცდილობდნენ წაჩხლეტებას და აკი, ასეც გაიტანეს, თუმც გოლი, წეღანვე ვთქვით, ხონჩასავით მიართვეს სტუმრებმა.

მაგრად იბრძოდა ჯაბა კანკავა, ყენიასა და ტატანაშვილს კი სულაც არ ეტყობოდათ, რომ ოდენ მეორე მატჩს ატარებდნენ ნაკრებში. მეტიც, „ამერის" ფორვარდი საუკეთესო იყო მინდორზე და არა მარტო მეგოლეობის გამო — ორთაბრძოლებს იგებდა და ერთი-ორჯერ ისეთი პასი გამოუვიდა, აზერბაიჯანელები ბრინჯივით დაიბნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისში ყენია უფრო გააქტიურდა, მაგრამ მასპინძელთა მცველთან შეჯიბრებისას ტრავმა მიიღო და შეცვალეს, რამაც ქართველთა შეტევას მარილი მოაკლო.

66-ე წუთზე მაკარიძემ ურთულესი დარტყმა აუღო სუბაშიჩს, რომელსაც ასათიანის შეცდომის შემდეგ კარიდან ხუთიოდ მეტრში მიუვიდა ბურთი. მალევე, ტატანაშვილს შეეძლო დუბლის გახერხება, თუმც სწრაფ გარღვევას ძალიან უზუსტო დარტყმა მიაყოლა.

ტოპმიოლერმა მეკარე გიორგი ლომაიას გარდა, ყველა სამარქაფო გამოიყვანა შეცვლაზე და ერთ-ერთს, დავით ბოლქვაძეს ცოტაღა დააკლდა გამარჯვების გოლის გასატანად: ამერული კომბინაცია იყო — გიორგი დეკანოსიძემ ტატანაშვილს უპასა, ამან ქუსლით დაუტოვა ბოლქვაძეს, ვინაც საჯარიმოს გარედან ოდნავ ააცილა.

მესამე ფრე ბოლო 20 დღეში — საქართველოს ნაკრებმა კვლავ ვერ მოიგო, თუმც ზედიზედ მეორედ მოხდა, მდევრად მყოფმა რომ გაათანაბრა. ცხადია, აზერბაიჯანთან 1:1 კარგ შედეგად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ჰერ კლაუსი დებიუტანტებს აუცილებლად ახსენებს და მართლაც, ოპტიმალური შემადგენლობით რომ ვერ მოვუგებთ აზერბაიჯანს, აი, მაშინ გვაქვს ორი აგური თავში საცემი...

**ილია ნანოზაშვილი**


დებიუტანტი გრიგოლ დოლიძე (№51)

# ტოპშერისხულები

„ფეხბურთელი მთლიანად მობილიზებული უნდა ჩამოდიოდეს ნაკრებში. ვასილ გიგიაძესა და ალეკო ამისულაშვილს სანაკრებოდ საკმარისი დონე და მოტივაცია ვერ შევატყვე, ლადო ბურდულს, დავით მუჯირსა და დავით კვირკველიას კი მოსაფიქრებელი დრო მივეცი" — ასე გვითხრა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა, როცა ამ ხუთი მოთამაშის უკრაინასთან არგამოძახების მიზეზებზე ვკითხეთ. ეს ის ხუთეულია, რომლებიც ლუქსემბურგთან ამხანაგურში იყვნენ. ტოპმიოლერის პოზიცია გასაგებია, მაგრამ მეორე მხარეც ხომ საინტერესოა: ბურდულს გუშინ უკრაინაში დავუკავშირდით...





## ჩართეთ ფირი!

### ლადო ბურდული: ძირითადისთვის სულ ბრძოლა მიწევდა და არ მოვინდომებდი?!

— რომელ მოსაფიქრებელ დროზეა ლაპარაკი, ლუქსემბურგთან რომ ორი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენე? ლადო ბურდულზე ვერავინ იტყვის, ნაკრებში არ იბრძოდა და კონცენტრაციის გარეშე ითამაშაო და თუ მაინც იტყვიან, კი ბატონო, ჩართოს ნებისმიერმა ლუქსემბურგთან თამაშის ვიდეოფირი, დამდგარ ბურდულს თუ ნახავენ...

— **საქართველოს ნაკრებს საგოლე მომენტების გაცუდება არ ესწავლება, მაგრამ მარტო ეგაა შენი არგამოძახების მიზეზი?**

— მარტივი ასახსნელია: როგორ შეიძლება ერთ ტაიმში ფეხბურთელმა ორი საგოლე მომენტი შექმნას, ერთი ერთზე გავიდეს და იმაზე თქვა, არ მოინდომაო. ვერგატანა სხვა ამბავია, თანაც ერთ მომენტში თამაშგარე მეგონა და შევყოვნდი, მაგრამ არ მოინდომაო, ეს ნაღდად არ მესადაგება...

...ნაკრების ძირითადში ადგილი არასოდეს მქონია დაჯავშნული. კი, საერთოდ, ვითვლებოდი ნაკრების ფეხბურთელად, მაგრამ ძირითადისთვის სულ ბრძოლა მიწევდა.

— **ამას რაზე ამბობ? იმიტომ, რომ წარმოუდგენელი იყო, არ მოგენდომა?**

— დიახ. რეალურად შევხედოთ სიტუაციას. ტოპმიოლერი რომ ნაკრებში დაინიშნა, კარგა ხანს არ მიძახებდა, მერე ჯერ ურუგვაისთან, შემდეგ თურქეთთან მათამაშა და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიწევდა ნაკრებში დამკვიდრება. ჩემთვის კი საქართველოს ნაკრები პირველ ადგილზეა. საერთოდაც, ფეხბურთელი ვისაც თავის ეროვნულ ნაკრებში თამაში არ სურს, პირადად მე ფეხბურთელად არ მიმაჩნია.

— **ლუქსემბურგთან მატჩის შემდეგ ტოპმიოლერი არ შეგხმიანებია?**

— არა, მხოლოდ ტელევიზორით გავიგე, რომ ზოგიერთ ფეხბურთელზე ნაწყენი ყოფილა, იმედები გამიცრუესო. ტოპმიოლერს დიდ პატივს ვცემ, მართლაც ძლიერი სპეციალისტია და თავისი აზრი აქვს: მეგონა, ჩათვალა, რომ სასურველ კონდიციებში არ ვარ და ამიტომაც არ გამომიძახა, მაგრამ...

— **ლუქსემბურგთან მატჩისწინა შეკრებაზე ხომ არ დაგიგვიანდია? ტოპმიოლერმა ესეც ახსენა ზოგადად...**

— ამას თუ დაგვიანებად ჩავთვლით, არ ვიცი: 19-ში „ზარიას" „დნეპროსთან" ჰქონდა თამაში, საღამოს ექვს საათზე მატჩი დამთავრდა და უსწრაფესი რეისი რომელიც იყო, ანუ რომლითაც შეიძლებოდა, უკრაინიდან ყველაზე მალე ჩავსულიყავი ლუქსემბურგში, იმას გავყევი. ღამე არ იყო რეისი, მეორე დილას გავფრინდით მე და კვირკველია და საღამოს შვიდ საათზე ჩავედით ლუქსემბურგში. ვარჯიში კი ექვსზე იყო.

— **როგორ ფიქრობ, შეიძლება, ესეცაა მიზეზი?**

— არ ვიცი. ერთი, რაც ვიცი, მე და კვირკველია დიდი მონდომებით ჩავედით ლუქსემბურგში, ნაკრებში თამაში გულით მიხარია და კიდევ ვიტყვი: ჩართეთ ფირი და ნახეთ, ან მე, ან კვირკველიამ მონდომება თუ დავაკელით.

**ილია ნანობაშვილი**

ლუქსემბურგთან საგანგაშო 0:0-ის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ზოგიერთი ფეხბურთელი ნაკრების სახელს და პრესტიჟს არასათანადოდ ექცევა და უკრაინასთან მატჩისთვის არც ერთს არ გამოვიძახებთო. „შერისხულთა" შორის აღმოჩნდა სამარის „კრილია სოვეტოვის" შემტევი დავით მუჯირიც, რომელსაც კლაუს ტოპმიოლერი მუდმივად იწვევდა ნაკრებში. გუშინ მუჯირს სამარაში შევეხმიანეთ...



## დავით მუჯირს პატრიოტიზმში არავინ შეეჯიბროს

— როდესაც პრეზიდენტმა ასეთი განცხადება გააკეთა და ორი დღის შემდეგ სანაკრებო განაცხადში ვერ მოვხვდი, თავს ცუდად ვგრძნობდი. თბილისში ყოფნისას ფედერაციის პრეზიდენტს დავურეკე და ნაკრების მთელ სამწვრთნელო შტაბთან ერთად ვესაუბრე. მითხრეს, რომ ამ სიაში ჩემი გვარი არ იყო და სხვა მიზეზი მითხრეს.

— **კლაუს ტოპმიოლერმა „სარბიელთან" საუბარში თქვა, ვასილ გიგიაძე და ალეკო ამისულაშვილი ნაკრების დონეს ვერ აკმაყოფილებენ, ხოლო ვლადიმერ ბურდულს, დავით კვირკველიას და დავით მუჯირს დრო მივეცით დასაფიქრებლადო...**

— თუ მწვრთნელის სათამაშო სქემაში ვერ ვჯდები და ამის გულისთვის არ გამომიძახა, ეს უკვე მისი გადასაწყვეტია. დათო მუჯირი რონალდო არ არის, რომ ნაკრებში მის არგამოძახებას დიდი სკანდალი მოჰყვეს. ღმერთმა ქნას, საქართველოს ნაკრებში ისეთი კონკურენცია იყოს, რომ 18 კაცში ჩემი ადგილი არ მოიძებნოს — დავჯდები ტელევიზორთან და ნაკრების პირველი ქომაგი ვიქნები...

...რაც შეეხება პატრიოტიზმს, ამაში არავის ვეჯიბრები და ამას ნურავინ შეეცდება. ოჯახი საქართველოში მყავს. მე და მამაჩემსაც ერთი აგური მაინც დაგვიდევია ქართული ფეხბურთისთვის. ნაკრების ინტერესებს ყოველთვის წინ ვაყენებ და ასე იყო ლუქსემბურგთან მატჩის დროსაც — კუნთგაწყვეტილი და უთამაშებელი ჩავედი. ამის გამო სამარაში ახალდანიშნულ მწვრთნელ ტარხანოვთან კონფლიქტიც მომივიდა. იგივე იყო იტალიასთან მატჩის წინაც — გერმანიაში ფეხმტკივანი ჩავედი და მერე იტალიასთან კი არა, ოთხი თვე ვერ ვითამაშე. სულაც არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ფარერებთან შეხვედრა კარგად გეხსომებათ — ორშაბათს დედა რეანიმაციაში დავაწვინე და ოთხშაბათს ნაკრებში ისე ვითამაშე, რა მდგომარეობა იყო ჩემს თავს, არ ვიცოდი. ასე რომ, დავით მუჯირს არაპატრიოტიზმში ნურავინ დადებს ბრალს.

— **და რას აპირებ სამომავლოდ საქართველოს ნაკრებისთვის?**

— თუ სპორტული პრინციპების გამო მე სანაკრებოდ საჭირო არ ვიქნები და ჩემზე უკეთესები ითამაშებენ, ქომაგობას. და თუ დავჭირდები, ნაკრებისთვის მე რიგითი ჯარისკაცი ვარ და გამოძახების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩამოვალ.

— **ლუქსემბურგთან თამაშის დეტალები ქართველი ქომაგისთვის თითქმის უცნობია. მაინც რა მოხდა იმ მატჩში?**

— თავის მართლებას არ დავიწყებ, მაგრამ მოსაგები თამაში ვერ მოვიგეთ, სწორედ ეს არის ჩვენი დანაშაული. თუმცა, თუ ლადო ბურდულმა ორი კარგი მომენტი ვერ გამოიყენა, ეს არაპატრიოტიზმი არ არის. ფეხბურთში ასეთები ხდება. იმ მატჩში პენალტიც ვერ გავიტანეთ, მაგრამ განა შეიძლება, იაშვილს არაპატრიოტიზმი დავაბრალოთ?! ფეხბურთია და სენსაციები ხდება. საწყენი ის არის, რომ ეს სენსაცია ჩვენ შეგვემთხვა.

— **უკრაინასთან მატჩს ნახავდი, რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

— არც ერთ გუნდს არ უჩვენებია ისეთი თამაში, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას რომ იმსახურებდეს. ეს განსაკუთრებით უკრაინელებზე ითქმის. რაც შეეხება შედეგს, დათო სირაძის გოლით ორმაგად კმაყოფილი დავრჩი: ერთი იმით, რომ ანგარიში გავათანაბრეთ, მეორე რუსების თვალში პრესტიჟი არ შევილახეთ. მატჩამდე აქ ლაპარაკობდნენ რომ როგორც მეგობარ ქვეყანას, საქართველო — უკრაინას თამაშს მისცემდა, ეს კი ქართული ფეხბურთის სახელს აკნინებდა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ტოპმიოლერის ხელფასი საერთოდ არ მიკვირს



ბადრი [illegible] ფოტო

**გიორგი ნემსაძე ქართულ საფეხბურთო ამქარში ხმაურიანად აღარ ტრიალებს — 13 მაისის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, რომელმაც მთელი ქვეყნისთვის ცუდი სახე მიიღო და ბევრი გასაგებ-გაუგებარი კითხვები დატოვა, ნემსაძე ერთი პერიოდი ცხინვალის „სპარტაკის" ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, მაგრამ იქიდანაც წავიდა — თუმც გუშინდელ საუბარში გვითხრა, ცხინვალელებს შეძლებისდაგვარად ვეხმარებიო. საქართველოს ნაკრების ყოფილ კაპიტანთან სასუბროს რა დაგვილევდა, ქართული ფეხბურთის პრობლემები ხომ გზასავითაა, არა და არ იკეცება...**

— 13 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აგირჩიეს და ყველასთვის მოულოდნელად, რამდენიმე წუთში თანამდებობიდან გადადექით. რა იყო ამის მიზეზი?

— იმ დროისთვის ასე ჩავთვალე საჭიროდ და ამ საქციელს არც ვნანობ.

— ფედერაციის მომავალ არჩევნებში თუ მიიღებთ მონაწილეობას?

— მანამდე კიდევ ოთხი წელია და ვნახოთ...

— ცოტა ხნის წინ ცხინვალის „სპარტაკის" ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყავით, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამდე იქიდანაც წამოხვედით...

— ცხინვალელებს მაშინაც ვეხმარებოდი და ახლაც შეძლებისდაგვარად გვერდში ვუდგავარ. ცხინვალი საქართველოს ნაწილია და გვინდა, ყველაფერი ნელ-ნელა ხარისხიანად გავაკეთოთ. „სპარტაკი" ერთწლიანი გუნდი არ იქნება.

— საქართველოსა და უკრაინის ევროშესარჩევ მატჩს ნახავდით და ჩვენების თამაშს როგორ შეაფასებთ?

— შეფასებისგან თავს შევიკავებ. ერთს კი ვიტყვი, რომ საკუთარ მოედანზე უკრაინასთან ფრეს არ უნდა ვზეიმობდეთ.

— მანამდე კი ამხანაგურ მატჩში ლუქსემბურგს ვერ მოვუგეთ...

— ფეხბურთია და შეიძლება ფრე შემთხვევით ითამაშო, მაგრამ როცა შესარჩევ შეხვედრებშიც ფარერების მეტს ვერავის ვუგებთ და ამას ლუქსემბურგთან ვერმოგებაც ემატება, ეს არის ცუდი. რაც უნდა ვიძახოთ, ლუქსემბურგთან 5:0 უნდა მოგვეგო, ფაქტია, მატჩი 0:0 დამთავრდა და ჩვენი მომავალი თაობა ამ შედეგს რომ გაიგებს, შერცხვება.

— „სარბიელთან" ინტერვიუში კლაუს ტოპმიოლერმა თქვა, საქართველოს ნაკრებს მომავალ ციკლშიც დიდი სიამოვნებით ვუხელმძღვანელებო. ამაზე რას იტყვით?

— ფედერაციამ და აღმასკომმა ამაზე სერიოზულად უნდა იმსჯელოს. ტოპმიოლერი წელიწადში მილიონ ევროს რომ იღებს, ეს სულაც არ მიკვირს. კიდევ ვიცი მწვრთნელები, რომლებიც მაგაზე მეტს იღებენ. უბრალოდ, ახლა უნდა შეფასდეს ამ კაცის ნამუშევარი და უღირს თუ არა საქართველოს მისი დატოვება. ქართულ ფილმ „უძინართა მზეში" ასეთი ერთი ეპიზოდია — გინდა, კარგია, უნდა გერგებოდესო.

— ბოლო წლებში თქვენმა დროინდელმა თბილისის „დინამომ" ითამაშა ღირსეულად ევროთასებზე და „ამერსაც" არ შეურცხვენია თავი. დანარჩენი გუნდების გამოსვლა ხშირ შემთხვევაში სამარცხვინოა. რას ფიქრობთ, რატომ ხდება ასე?

— ქართული გუნდები ევროთასებზე სტაბილურად რომ გამოვიდნენ, ამას დრო სჭირდება... მთავარია, რამდენიმე გუნდი სწორი გზით მიდის...

— კონკრეტულად?

— „ვიტ ჯორჯია", „ამერი", „დინამო", „ზესტაფონი", „ოლიმპი" — ისინი ბავშვთა ფეხბურთსაც აქცევენ ყურადღებას და იმედი მაქვს, ეს შედეგსაც მოგვცემს.

— თქვენს საფეხბურთო სკოლაში, „საბურთალოში" რა ხდება?

— ნელ-ნელა ვვითარდებით.

— არჩევნების წინ ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატები რაიონებში კი ჩადიან, მაგრამ შემდეგ ნაკლებად ექცევა ყურადღება რეგიონებში ფეხბურთს...

— დიდი ხანი არ არის, რაც ბოლო არჩევნები ჩატარდა და ფედერაცია ალბათ რეგიონებსაც მიაქცევს ყურადღებას. ყველას ერთი რამ უნდა გახსოვდეს — ქართული ფეხბურთის ძირითადი შევსება ყოველთვის რაიონებიდან მოდიოდა. მათ გარეშე ქართულ ფეხბურთს მომავალი არ ექნება.

— ბავშვთა ფეხბურთი ჩვენში ყველაზე დიდი პრობლემაა...

— ბავშვებთან განათლებული მწვრთნელები უნდა მუშაობდნენ. თბილისში ნელ-ნელა ვხედავ, რომ ასეთები მოდიან, რასაც რაიონებზე ვერ ვიტყვი. იქ თუ ვინმეა განათლებული, ყველა დედაქალაქში გამორბის, რადგან რაიონში ბავშვები ფულს ვერ იხდიან და მწვრთნელიც იძულებულია, ეს ნაბიჯი გადადგას. ამიტომ რაღაც გეგმა უნდა შემუშავდეს, რათა რეგიონებში მწვრთნელებს ხელფასი დაენიშნოთ.

— ამას წინათ კვიპროსზე იყავით, ფეხბურთიდან თემურ ქეცბაია გააცილეთ...

— „ანართოსისმა" ქეცბაია ღირსეულად გააცილა. დიდი ბედნიერებაა, შენს კარიერას რომ არ ივიწყებენ. ალბათ საქართველოშიც მოვა დრო, ფედერაცია და კლუბები ფეხბურთელს ღირსეულად რომ გააცილებენ, ეს ყველაზე დიდი საჩუქარია კარიერის ბოლოს.

**ნუგზარ ლოლაძე**



სორენ ლარსენი და ლევან კობიაშვილი

# დიდი მადლობა საქართველოს!

## შალკემ ბაიერნს კობიაშვილი დაუპირისპირა

**გელზენკირხენის** „შალკეს" მწვრთნელ-ხელმძღვანელობა აღფრთოვანებულია გერმანიაში ლევან კობიაშვილის დაბრუნებით.

მოგეხსენებათ, კობიაშვილი უკრაინასთან ევროშესარჩევი მატჩისთვის საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული, თუმცა ტრავმის გამო არ უთამაშია და ნამატჩევს გელზენკირხენში დაბრუნდა. შალკელებიც სწორედ ამის გამო არიან გახარებულნი — „კიკერის" ცნობით, კლუბი მადლობას უხდის კლაუს ტოპმიოლერს და ქართულ მხარეს ფეხბურთელის დროული გათავისუფლებისთვის.

დავაზუსტოთ: წესით, კობიაშვილს 12 სექტემბრამდე (ფიფას დღე) შეეძლო აქ დარჩენა.

კობიაშვილის დაბრუნებას ექიმების დადებითი პასუხიც დაემატა — ლევანი თითქმის გამოჯანმრთელებულია და მომავალ ტურში თამაში უნდა შეძლოს. მომავალ ტურში კი, 15 სექტემბერს, გერმანიაში დიდი მატჩია: მიუნხენის „ბაიერნი" „შალკეს" მასპინძლობს.

„კიკერი" ამ მატჩს ასეთი სათაურით გამოეხმაურა: „კობიაშვილის და ლარსენის იმედად".

სორენ ლარსენიც, კობის დარად, ტრავმირებული იყო და უკვე გამოჯანმრთელდა...

**ქახა შალამბერიძე**

# ოთხი ქართველი უეფას თასზე

**20 სექტემბერს** პოლონეთის ქალაქ გროცლინში უეფას თასის პირველი ეტაპის მატჩი გაიმართება — ადგილობრივი „გროცლინი" სერბულ „ცრვენა ზვეზდას" უმასპინძლებს.

უეფას მსაჯთა კომიტეტის დადგენილებით, ამ მატჩს ქართველ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება.

მთავარი მსაჯი ფიფას არბიტრი ლევან ფანიაშვილი იქნება. მას ასისტენტობას მამუკა ელიკაშვილი და ზაზა მენთეშაშვილი გაუწევენ. მეოთხე მსაჯის მოვალეობას კი ლაშა სილაგავა შეასრულებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თამაში მილიონებით და ქართველებით

## რატომ გაუშვა კარლ ცაისმა ლომაია-აშვეთია და რამდენი გადაიხადა ახალწვეულებში?



ილია კანდელაკი, გიორგი სეთურიძე და გიორგი ონიანი

**იენის** „კარლ ცაისში" რუსული კომპანიის, Alpha Group Invest Corporation-ის მისვლის შემდეგ ამ გუნდში ქართველი ფეხბურთელების გადასვლა ჩვეული ამბავი გახდა. ჯერ იყვნენ გიორგი ლომაია და მიხეილ აშვეთია, ახლა კი ერთბაშად ოთხი ჩვენებურია იქ — ილია კანდელაკი, გიორგი სეთურიძე, გიორგი ონიანი და რევაზ ბარაბაძე, ვინც სულ ბოლოს გახდა „კარლ ცაისის" წევრი.

გერმანელებს ძალიან უკვირთ უცხოური კომპანიის ამ კლუბით დაინტერესება, თუმცა იმასაც ამბობენ, დიდი კაპიტალი შემოდის და ხელს ნუ შევუშლითო.

მაგალითად, პოპულარული „კიკერის" ცნობით, წინა სეზონში „კარლ ცაისს" 500 000 ევრო მიუღია საიმისოდ, რათა გაძლიერებულიყო და სწორედ მაშინ გადაიბირა ორი ქართველი: ლომაია და აშვეთია.

გერმანელებს არ ესმით, რატომ არ შეინარჩუნა იენურმა კლუბმა ეს ფეხბურთელები. მათ ხომ უდიდესი წვლილი შეიტანეს გუნდის მეორე ბუნდესლიგაში დარჩენაში.

იქაური ჟურნალისტებისთვის გაუგებარია, რამდენი დაიხარჯა წლევანდელ ქართველებშიც — კანდელაკი-სეთურიძე-ონიანი-ბარაბაძის კვარტეტის ტრანსფერის ფინანსური დეტალები კონფიდენციალური ყოფილა.

**ქახა შალამბერიძე**

# სადგურის თავდამსხმელი
## უცნაური ხუმრობა: სერ ალექს ფერგიუსონს წაუთაქეს



**ალექს ფერგიუსონი** შეაშინეს. იგი ორშაბათს დილით მანჩესტერიდან ლონდონში ჩავიდა. „იუსტონის“ სადგურზე მატარებლიდან ჩამოსულს ვიღაც კაცი, მავანი კევინ რეინოლდსი ეცა და წაუთაქა.

ცნობილია, რომ „მანჩესტერის“ მწვრთნელს მეგობარი ახლდა, ვისაც ასევე ცემა დაუპირეს. ალექს ფერგიუსონი ვეღარ მივიდა იქ, სადაც დაპატიჟებული იყო, ტრანსპორტის პოლიციამ კი თავდამსხმელი დააკავა.

„ვადასტურებთ, რომ ერთ-ერთი დაზარალებული „მანჩესტერის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონია, რომელმაც მსუბუქი ტრავმა მიიღო. დაკავებულია 43 წლის კაცი და ბრალად სხეულის დაზიანება ედება“ — ნათქვამია პოლიციის განცხადებაში.

შოტლანდიელი მწვრთნელი ლონდონში პირად საქმეზე ჩაბრძანდა და დაცვა არ ახლდა. როცა გუნდთან ერთად „ჩელსისთან“ ან „არსენალთან“ სათამაშოდ მიდის, მატარებლიდან პირდაპირ ავტობუსში ადის, რომელიც იქვეა გაჩერებული.

დაკავებულმა კევინ რეინოლდსმა კი სასამართლოზე თქვა: „ბოდიში, ფერგი, არ ვიცოდი, რომ შენ იყავი“.

მისმა ადვოკატმა განაცხადა, კაცმა ვერ იცნო ფერგიუსონი და გაეხუმრაო, ხოლო მოსამართლეს გაუკვირდა: „არა მგონია, ფერგიუსონს ეს ხუმრობად მიეღო“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იუბილარი ბეტისი

**„ბეტისი“** სენტენარიოს ზეიმობს — „მწვანეთა“ კლუბი 12 სექტემბერს 100 წლის გახდა.

ანდალუზიელ ფანებს ისევ შეუძლიათ იამაყონ თავიანთი გუნდის ხანგრძლივი ისტორიით, როგორც სხვა ესპანულ „ხანდაზმულთა“ — „რეალის“, „ბარსელონასა“ და „ბილბაოს“ ინჩასები ამაყობენ.

არსებობის მანძილზე „ბეტისს“ პრიმერადივიზიონში 45 სეზონი გაუტარებია, ხოლო სეგუნდაში 25. ანდალუზიელებმა კოპა დელ რეიზე 388 ოფიციალური მატჩი გამართეს, 48 კი — ევროტურნირებზე (ჩემპიონთა თასი, უეფას თასი, თასების თასი). „ბეტისის“ ფანობა ესპანეთშიც და ევროპაშიც გუნდისადმი უსაზღვრო, ფანატიკური ერთგულებით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ „მწვანეებს“ მთელ მსოფლიოში გაფანტული 350 ფანკლუბი ჰყავთ.

„ბეტისს“ მოუგია ესპანეთის ჩემპიონობა, ყოფილა კოპა დელ რეის მფლობელი და თასის ფინალისტი. ასევე მის მონაგარში ესპანეთის სუპერთასი და ორი „ტროფეო ზამორაც“ შედის.

ანდალუზიურმა კლუბმა ესპანეთს ერთი ლა ლიგის მთავარმეგოლე და ნაკრების 26 ფეხბურთელი გამოუზარდა.

ყველაფერი კი 1907 წელს 12 სექტემბერს დაიწყო, როდესაც კლუბი „საფეხბურთო სევილია“ დაარსდა, რომელსაც ორი წლით ადრე ჩამოყალიბებული თანაქალაქელი კლუბისთვის, „სევილიასთვის“ უნდა გაეწია კონკურენცია. კლუბის პირველი პრეზიდენტი ალფონსო დელ კასტილიო ოჩოა გახლდათ, ხოლო ფორმა თეთრ-ცისფერი იყო, დღევანდელი მწვანისგან განსხვავებით. „ბეტისად“ კი გუნდი დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ, 1908-ში მოინათლა.

**ლადო ხომერიკი**

## ბალაკი კადრს მიღმა

**გერმანიის** ნაკრების სპონსორის „ადიდასის“ რეკლამაში მიხაელ ბალაკმა მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან „ჩელსიმ“ საამისოდ ნებართვა არ მისცა.

კვირას, გვიან ღამემდე ელოდნენ ნაკრების შეფები და ფეხბურთელი ნებართვას, მაგრამ ვერ მიიღეს და ბალაკი სამშობლოდან ლონდონში გაწბილებული დაბრუნდა.

„არ შეიძლება, ასე მოექცე ფეხბურთელს, მით უმეტეს, კაპიტანს“ — გაბრაზდა ნაკრების გენერალური მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი.

## პეტროვიჩი

**ჩინეთის** ნაკრების მწვრთნელობა ვლადიმირ პეტროვიჩს შესთავაზეს. ფეხბურთის ფედერაციის პრესმდივანმა დონ ჰუამ დაადასტურა, რომ 52 წლის სერბთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

ვლადიმირ პეტროვიჩი 2005-ში ჩინურ „დალიანში“ მუშაობდა და ჩემპიონი გახადა. ფედერაცია მას წელიწადში 200 ათას დოლარს და სამწლიან კონტრაქტს ჰპირდება.

პეტროვიჩს რეკომენდაცია რატომირ დუიკოვიჩმა გაუწია, რომელიც ჩინელთა ოლიმპიურ ნაკრებს თავკაცობს.

სერბი მწვრთნელები ფეხბურთელობისას „ცრვენა ზვეზდაში“ ერთად თამაშობდნენ.

## ჰარნიკი და პატრიკი

**ბრემენის** „ვერდერის“ ავსტრიელი ფორვარდი მარტინ ჰარნიკი დაშავდა და ოთხკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს. 20 წლის ფეხბურთელი იაპონიასთან ამხანაგურ მატჩში შეცვლაზე შევიდა და მუხლის მყესი გაუწყდა — იგი „ვერდერს“ ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან“ და „ოლიმპიაკოსთან“ ვერ დაეხმარება.

სამაგიეროდ, მცველი პატრიკ ოვომოიელა მომჯობინდა, რომელმაც ორი თვის წინ მიიღო ტრავმა. ოვომოიელა სრული დატვირთვით ვარჯიშობს და შეიძლება, ამ უქმეებზე ითამაშოს.

## ცოლის გამო

**„ჰამბურგის“** ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა განაცხადა, რომ მეუღლის ავადმყოფობის გამო სეზონის ბოლოს, შესაძლოა, გუნდიდან წავიდეს.

მისი კონტრაქტი 2008-ის ივნისში იწურება, მაგრამ გახანგრძლივება იუარა, რადგან ცოლს უნდა მიხედოს.

ამ ზაფხულსაც, სეზონის დაწყებამდე რამდენიმე კვირით მიატოვა გუნდი და სამშობლოში ჩავიდა მეუღლის მოსავლელად. სტევენსმა „ჰამბურგი“ წლეულს 2 თებერვალს ჩაიბარა, მას შემდეგ, რაც თომას დოლი მოხსნეს.

53 წლის ჰოლანდიელს „როდაში“, „შალკეში“, „ჰერტაში“ და „კიოლნში“ უმუშავია.

## ამხანაგობა არ გამოდის

**აშშ — კატალონიის** ამხანაგური მატჩი არ შედგება.

„ჩვენ შეხვედრაზე შევთანხმდით, მაგრამ კატალონიელებმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციისგან ნებართვა ვერ მიიღეს. ფიფას წევრები ვართ და მის წესებს ვერ გადავახტებით. თუ კვირის ბოლომდე საქმე არ მოგვარდა, მატჩიც აღარ გაიმართება“ — განაცხადა აშშ-ს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სუნილ გულატიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფერნანდო ტორესი ინგლისით ბედნიერია
## არ მეგონა, აქ თუ ამას ვნახავდი

**ინგლისური** „ლივერპულის“ სარეკორდო შენაძენი ფერნანდო ტორესი ნისლიან ალბიონზე თავს კარგად გრძნობს. 23 წლის ესპანელი ფორვარდის თქმით, მისი და მერსისაიდელთა სათამაშო სტილი ერთნაირია და ბედნიერია, რომ ამ ზაფხულს მადრიდის „ატლეტიკოდან“ „ენფილდზე“ გადაბარგდა.



თუნდაც მხოლოდ ბოლო ოთხ წელიწადში ძვირად ნაყიდ მოთამაშეებს გაუჭირდათ ინგლისში დამკვიდრება ან დღემდე უჭირთ. მათგან განსხვავებით, ტორესი მყისვე მოერგო პრემიერლიგას და გოლების გატანაც დაიწყო.

„თავს თავისუფლად ვგრძნობ და ჩემი თამაშისა თუ ზოგადად ცხოვრებისგან ახლა დიდ სიამოვნებას ვიღებ, ისე, როგორც „ატლეტიკოში“ თამაშის დაწყების პირველ პერიოდში. არ ველოდი, თუ აქ ასეთი კარგი ატმოსფერო დამხვდებოდა და ასე დამეხმარებოდნენ ადაპტაციაში. ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ ბოლომდე დასამკვიდრებლად ჯერ კიდევ ცოტა დრო მჭირდება. სეზონი ბრწყინვალედ დავიწყეთ, თამაში თავიდანვე წაგვივიდა, რაც საქმეს ერთიორად გვიიოლებს. „ატლეტიკოში“ უფრო ცენტრიდან ვთამაშობდი და ბურთის მოსაპოვებლად უკან მიხდებოდა დახევა. შესაბამისად, ჩვენი შეტევები სწრაფი იშვიათად იყო. „ლივერპულში“ კი ყველაფერი სხვაგვარადაა, ნახევარდაცვა თავის საქმეს ბრწყინვალედ უმკლავდება და მთლიანად ყველა რგოლი ძლიერია. გუნდი ჩინებულადაა დაბალანსებული და თითოეულმა მოთამაშემ კარგად იცის თავისი საქმე. შესაძლოა, ინგლისური ფეხბურთი უფრო ამიტომაც მომწონს, პრემიერლიგის და უშუალოდ „ლივერპულის“ სტილი ჩემსას ეხამება. ჩვენ სწრაფად და გამართულად ვუტევთ და ხშირად ვახორციელებთ კონტრიერიშებს. შეტევების დროს ნახევარმცველების გარდა, მცველებიც გვეხმარებიან. ისინი თავდასხმაში ბრწყინვალედ ერთვებიან ხოლმე“ — განაცხადა ტორესმა.

**გიორგი ძაძაძე**

# სომხეთის მწვრთნელი მოუკვდა

**სომხეთის** ნაკრების მწვრთნელი, 61 წლის იან პორტერფილდი ნაწლავის კიბოთი გარდაიცვალა. დანფერმლაინში დაბადებული შოტლანდიელი ცნობილი იყო გოლით, რომელიც „სანდერლენდის“ მაისურით ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში (1973) „ლიდსს“ გაუტანა და გუნდს თასი მოუტანა. მაშინ „სანდერლენდი“ მეორე დივიზიონში თამაშობდა.

პორტერფილდის კარიერა „რეით როვერსში“ (1964) დაიწყო, შემდეგ „სანდერლენდს“ შეალია ათი წელი (1967-1977), საიდანაც „რედინგში“ გადავიდა, მერე კი — „შეფილდ უენსდიში“.

1979 წელს „რეით როვერსის“ მწვრთნელი გახდა, რასაც მოჰყვა „შეფილდ იუნაიტედი“ (1981-1986), „აბერდინი“ (1986-1988), „რედინგი“ (1989-1991) და „ჩელსი“ (1991-1993). მას ზამბიის, ზიმბაბვეს, ომანისა და ტრინიდადის ნაკრებებშიც უმუშავია. 2003-2006 წლებში სამხრეთ კორეის „ბუსანს“ თავკაცობდა, შარშან აგვისტოში კი სომხეთის ნაკრები ჩაიბარა. მის ხელში გუნდმა გასულ თვეში პორტუგალიასთან შინ 1:1 ითამაშა.



„პორტუგალიასთან მატჩის სანახავად ერევანში მეც ჩაველი — გაიხსენა პორტერფილდის ქვრივმა — შეხვედრის წინა დღეს სტუმრებმა ღია ვარჯიში გამართეს. რონალდუს და დეკუს სანახავად ბევრი ხალხი მოვიდა, მაგრამ როცა სტადიონზე იანი შემოვიდა, ფეხზე წამოდგნენ და მის სახელს გაჰყვიროდნენ. ეს ძალიან შთამბეჭდავი იყო“.

**ვაჟა ხუციშვილი**



# მითხარი, რა ტაქტიკა გაქვს და გეტყვი, რა გაწუხებს...

**თუ ფრანკ რაიკარდს „ბარსელონასთან“ დაკავშირებით რაიმე პრობლემა შეექმნება, დამხმარედ და მრჩევლად ყოველთვის ლეგენდარული თანამემამულე, იოჰან კრუიფი მოევლინება ხოლმე. „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ „ელ პერიოდიკოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში (კრუიფი ამ გაზეთთან თანამშრომლობს და „პერიოდიკოს“ მკითხველიც „ბარსას“ ყოფილი მწვრთნელის საფეხბურთო-ფილოსოფიურ ნააზრევს ყოველკვირეულად ეცნობა) კატალონიური გუნდის ამჟამინდელ თავკაცს რამდენიმე რჩევა მიაწოდა, რათა რაიკარდის გუნდმა წარმატებებს მიაღწიოს და შარშანდელი ჩავარდნა თავიდან აიცილოს.**

გასულ კვირას დიდი იოჰანი „კამპ ნოუს“ გუნდის მწვრთნელს ახალგაზრდა ფეხბურთელებისადმი მეტი ნდობისკენ მოუწოდებდა. მაშინ კრუიფმა აღნიშნა, რომ თამაშის მოსაგებად რაიკარდმა მოედანზე ცნობილი ვარსკვლავები კი არა, ზუსტად იმ მომენტისთვის საბრძოლო ფორმაში მყოფი ფეხბურთელები უნდა შეუშვას და მათ ახალგაზრდულ ასაკს ყურადღება ნაკლებად მიაქციოს. ახლა კატალონიელთა ყოფილი მწვრთნელი დღევანდელ დამრიგებელს ტაქტიკურ ცვლილებებს სთავაზობს.

კრუიფის აზრით, „ბარსას“ უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ გუნდი მეტისმეტად უკანდაწეული თამაშობს. მცველთა განლაგებაში ცვლილებების მოხდენა კი მთელ გუნდს შეუწყობს ხელს, მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცენ და თავს თავიანთი სათამაშო სტილი მოახვიონ. ამგვარად (როგორც იოჰანი თვლის), „ბარსელონას“ ყველა ფეხბურთელი თამაშის დროს მეტოქის საჯარიმოს უფრო მიუახლოვდება, ძალებს ნაკლებად გაფლანგავს და მეტ საგოლე ეპიზოდსაც შექმნის.

ახლა დროა, კრუიფის რჩევებს უფრო დეტალურად გავეცნოთ. პირველი მათგანი მცველებს ეხება. იოჰანი ფიქრობს, რომ კატალონიელთა უკანახაზელები მეკარესთან სახიფათოდ ახლოს არიან.

**1. მცველები წინ უნდა გადაადგილდნენ.**

„თუ დაცვის განლაგებაში შეცდი და უკანა ხაზი მოიშალა, ჩათვალე, რომ მოედანზე ვერანაირ საქმეს ვერ გააკეთებ. მითხარი, როგორ არის მინდორზე შენი გუნდი განლაგებული და მე გეტყვი, რა პრობლემა გაწუხებს... მსოფლიოს საუკეთესო ცენტრალურ მცველთა წყვილსაც კი ნაკლები სარგებლობა მოაქვს, როდესაც ისინი მეკარესთან სახიფათოდ, ზედმეტად ახლოს თამაშობენ. მცველებმა ვიქტორ ვალდესის კარიდან 10-15 მეტრის მანძილზე უნდა აინაცვლონ. სწორედ ამ, ერთი შეხედვით, უბრალო რამეზეა დამოკიდებული, შენარჩუნდება თუ არა დაცვასა და შეტევას შორის საჭირო თანაფარდობა. მთავარი ის კი არ არის, დაცვაში ვინ ითამაშებს, არამედ ის, თუ სად უქმნიან ისინი მეტოქეს დამაბრკოლებელ ზღუდეს. წინ წაწევის შემთხვევაში გუნდი ორმაგად იგებს — შეტევის დამატებითი შანსი ეძლევა და აქვს საშუალება, კონტრიერიში თავიდან აიცილოს“.

**2. ცენტრალურმა თავდამსხმელმა მეკარე უნდა შეავიწროვოს.**

„როდესაც „ბარსელონას“ მწვრთნელი ვიყავი, ჩვენს გუნდში პირველი მცველი... რომარიო იყო. ყველაფერი მისგან იწყებოდა — მიილო მეტოქის გოლკიპერმა ბურთი და ბრაზილიელიც იქვეა, გასაქანს არ აძლევს და ცდილობს, მეკარემ შეცდომა დაუშვას. დაცვის ხაზი რომარიოდან იწყებოდა, რაც ამ ფეხბურთელისთვისაც კარგი იყო და საერთოდ გუნდისთვისაც“.

**3. როდესაც უკანა ხაზი წინ აიწევს, ფორვარდთა აქტიურობა გაიზრდება.**

„ძნელი მისახვედრი არ არის, რა მოხდება მცველთა წინ გადაადგილების შემდეგ. ეს თავდამსხმელებს უფრო გამოაცოცხლებს და შეტევაში მათი აქტიურობა მეტად შესამჩნევი გახდება. გარდა ამისა, ნახევარდაცვაც უფრო ეფექტურად ათამაშდება“.

**4. ფეხბურთელები ნაკლებად დაიქანცებიან.**

„როდესაც მეტოქის მისადგომებთან ახლოს თამაშობ, ნაკლებად იღლები, ხოლო მოწინააღმდეგე იქანცება, მას ხომ შენს კარამდე დიდი მანძილის გარბენა უწევს“.

**5. ტურემ მეტოქის კარში უფრო ხშირად უნდა დაარტყას.**

„მოგვწონს ტურეს მძლავრი დარტყმა? ძალიან კარგი — როცა კაცს ნიჭი აქვს, მისი გამოყენებაა საჭირო. თუ ხსენებულ ცვლილებებს განვახორციელებთ, ანუ დაცვას წინ „ვუბიძგებთ“, კოტდივუარელი ფეხს უფრო თავისუფლად მოიქნევს“.

**6. შეტევებს უფრო წარმატებით მოვიგერიებთ და მეტოქესაც პრესინგით შევაწუხებთ.**

„ტურე ახლა იქ თამაშობს, სადაც ცენტრალური მცველები უნდა იდგნენ. აფრიკელი ხავისა და დეკუს პოზიციებისკენ უნდა გადაადგილდეს, იმათ კი, თავის მხრივ, რამდენიმე მეტრით წინ უნდა წაიწიონ. ამ შემთხვევაში ფლანგებსაც შეკრავ და მეტოქესაც სამოქმედო არეალი შეუმცირდება. შეგიძლია, პრესინგი განახორციელო, მოწინააღმდეგეს ბურთი წაართვა და თამაში აკონტროლო“.

**7. შეტევა დაცვის ორგანიზების საშუალებას მოგვცემს.**

„თუ მეკარეს შევავიწროვებთ და მეტოქეს სწრაფი კონტრშეტევის შანსს წავართმევთ, საკმარისი დრო გვექნება იმისათვის, რომ საკუთარი დაცვა უკეთ დავაწყოთ. თუ გოლკიპერი ბურთს შორს, წინ ჩააწვდის, უმეტეს შემთხვევაში მასთან პირველი ჩვენი ფეხბურთელი აღმოჩნდება. და თუ მოკლე პასს გადაწყვეტს, ბარსელონელები პრესინგისა და ბურთის წართმევისთვის მზად იქნებიან“.

**ლადო ხომერიკი**

# ოლეს ლეო

## არგენტინელებმა მესი საუკეთესოდ დაასახელეს



**არგენტინულმა** სპორტულმა მედიამ „ოლემ“ ლეო მესი ავსტრალია — არგენტინის ამხანაგური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

„მესიმ ავსტრალიელები სწრაფი ბურთაობით და ფინტებით შეაწუხა“ — აღნიშნა ხსენებულმა გაზეთმა თამაშის მეორე დღეს.

პატაგონიური „ლა ნასიონიც“ „ბარსელონას“ ფორვარდს აქებს. ამ გაზეთის აზრით, ლეო მესი და „ინტერის“ განაპირა მცველი ხავიერ ძანეტი ავსტრალიასთან გამარჯვების სულისჩამდგმელები იყვნენ.

„ნაკრებმა მოიგო და ამით ბრაზილიასთან და ნორვეგიასთან დამარცხებები მცირე ხნით დაგვავიწყა. მესიმ და ხავიერ ძანეტიმ კი შესანიშნავად ითამაშეს“ — წერდა „ლა ნასიონი“.

პატაგონიელთა და ავსტრალიელთა მატჩი მელბურნში „კრიკეტ გრაუნდის“ არენაზე 70 ათასი გულშემატკივრის თანდასწრებით ჩატარდა და სტუმართა 1:0 გამარჯვებით დასრულდა. ერთადერთი გოლი მარტინ დემიკელისმა შეაგდო.

**ლადო ხომერიკი**

# 17297 კმ

## აგეროს ექსკურსია

**სერხიო აგერომ** კანადაში გამართულ 20-წლამდელთა მუნდიალზე თავი გამოიჩინა, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი და მთავარმეგოლე გახდა, რის გამოც არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ალფიო ბასილემ მთავარ გუნდში გამოიძახა.

პატაგონიელებმა ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს ავსტრალიასთან. ეს ბოლო ამხანაგური ჯახი გახლდათ, რომლის შემდეგაც „ალბისელესტე“ 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ მატჩებში ჩაერთვება.

„კუნმაც“ დიდი ხალისით მიაშურა მწვანე კონტინენტს, მაგრამ... სენიორ ბასილემ მხოლოდ ერთი წუთით შეუშვა მოედანზე... ანუ მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდმა 17297 კილომეტრი იმისთვის გადალახა, რათა ავსტრალიასთან მინდორზე გეზაბნეულ კომეტასავით წამიერად ჩაექროლა და ბურთს საერთოდ ვერ შეხებოდა...

მატჩის 90-ე წუთზე ალფიო ბასილემ ლეო მესი დაასვენა და სერხიო აგეროს მოედნისკენ მიუთითა. „კუნსაც“ სხვა რაღა დარჩენოდა და ბეჯითად ირბინა ის ერთი წუთი.

სხვათა შორის, პატაგონიელთა მწვრთნელი ნიჭიერ თანამემამულეს შესარჩევ თამაშებში ძირითადში გამწესებას უპირებს.

**ლადო ხომერიკი**



# ბარსას რომ ვხედავ, სარკე მახსენდება

**გუტი მალე 31 წლის გახდება, თუმცა მადრიდის „რეალის“ ვიცე-კაპიტანი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ისე ყოჩაღად ბურთაობს, რომ ბევრ მასზე ახალგაზრდა ვარსკვლავს შეშურდება. „სამეფო თეთრების“ ნახევარმცველი „რეალის“ ახალი მწვრთნელის ბერნდ შუსტერის პროექტის ერთგულია და მის შეგირდად თავს მშვენივრად გრძნობს. გუტის მადრიდული „ასი“ გაესაუბრა...**


AFP

**— გასულ სეზონში „რეალში“ ფაბიო კაპელოს ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყავით. წლეულს კი პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა და კლუბის დირექტორატმა იტალიელს ბერნდ შუსტერი ამჯობინეს. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?**

— ფაბიომ მადრიდს სამწლიანი რთული პერიოდის შემდეგ გამარჯვება დაუბრუნა. როგორც იცით, ჯილდოთა გვალვა გამოვიარეთ, კაპელომ კი არასაკმარისად ძლიერი შემადგენლობით მაინც მოიგო ესპანური პრიმერადივიზიონი. ამისთვის მას მადლობა უნდა ვუთხრათ. იტალიელმა, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, მაგრამ კლუბის უფროსებმა საფეხბურთო ფილოსოფიის შეცვლა გადაწყვიტეს. მე კი მაინც ვიტყვი, რომ ყოფილმა მწვრთნელმა თავისი სამუშაო ჩინებულად შეასრულა.

**— როგორ ფიქრობთ, გარისკა რამონ კალდერონმა, როცა კაპელოს დათხოვნა გადაწყვიტა?**

— ყოველთვის, როცა ტიტულს იგებ და მიუხედავად ამისა, მომდევნო სეზონში მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენ, ცხადია, რისკზე მიდიხარ. მაგრამ ახალ პროექტს ყველანი იმედით შევცქერით.

**— კაპელოსგან რა ისწავლეთ?**

— 12 წელიწადია, „რეალში“ ვთამაშობ, მაგრამ კაპელოსთან ჩვენი გუნდის მაისურის ღირსებაზე სულ სხვანაირად დავფიქრდი. სხვანაირად ბრძოლა ვისწავლე, რამაც საკუთარი ძალებისადმი რწმენა შემმატა.

**— მაგრამ ბერნდ შუსტერის მუშაობის სტილი თქვენ უფრო გამოგადგათ...**

— ახალმა მწვრთნელმა რადიკალური ცვლილებები მოახდინა და ბერნდის ხელმძღვანელობით თავი უფრო თავისუფლად ვიგრძენი. ასევე მივხვდი, რომ უფრო მენდობიან. შუსტერს ყველანი მხარს ვუჭერთ. მან თავდასხმის ასპექტში უფრო მეტი თავისუფლება მოგვანიჭა. გასულ წელს უფრო დაცვაზე ვიყავით ორიენტირებულნი. წლეულს კი დაცვა კარგად ფუნქციონირებს და ბურთის ფლობასაც მეტი ყურადღება ექცევა. ხალხი, მაგალითად, შუსტერს იმის გულისთვის აფასებს, რომ „რეალი“ დღეს უფრო აგრესიულია, ბურთს უფრო მეტხანს ფლობს. თუმცა მეტოქისთვის ბურთისართმევაზეც ძალიან ბევრს ვმუშაობთ.

**— სადღეისოდ გუნდში თქვენს პოზიციაზე უფრო დიდი კონკურენციაა, მაგრამ გუტის ძირითადში ყოფნას საფრთხე მაინც არ ემუქრება...**

— არ ვფიქრობ, რომ ჩემი ძირითადობა ეჭვგარეშეა, მაგრამ შუსტერთან ერთად „რეალში“ თავი მნიშვნელოვან ფეხბურთელად ვიგრძენი.

**— მალე არიენ რობენის დებიუტი შედგება „რეალში“ და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სნეიდერ-გუტის შეხმატკბილებული ტანდემიც შეიძლება ვეღარ ვიხილოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ვინმეს სათადარიგოთა სკამისკენ მიუთითებენ...**

— ეს პრობლემა არ არის. სათამაშო წუთები ყველას გვექნება. ადრე ჩემპიონთა ლიგაზე, პრიმერადივიზიონში და კოპა დელ რეიზე მონაწილეობაზე ნაკლები ოპტიმიზმით ვსაუბრობდით, რადგანაც შემადგენლობა შევსებული არ იყო. ახლა სიტუაცია გამოსწორდა, წუწუნის უფლება არ გვაქვს.

**— ბერნდ შუსტერი, როგორც მწვრთნელი, რას ითხოვს თქვენგან?**

— დაცვითი სახის სამუშაოს. მწვრთნელი მეუბნება, რომ მარტო დიარა ვერ გასწვდება ყველაფერს.

**— ბოლოს და ბოლოს, მოახერხა „რეალმა“ სახელებზე უფრო მეტი ფეხბურთელები ეყიდა?**

— ჩემი თეორიის მიხედვით, სახელს და დიდებას ფეხბურთელები დამსახურებისამებრ მოიპოვებენ. თუმცა ხომ არიან მოთამაშეები, რომელთაც ხალხი ნაკლებად იცნობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი გუნდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანნი არიან. ამჟამად „რეალს“ ყველა პოზიციაზე საჭირო ხალხი ჰყავს.

**— უესლი სნეიდერი ერთ-ერთი მათგანია. ჰოლანდიელის საფეხბურთო დონე ძველი „გალაქტიკოსების“ თუ შეედრება?**

— დიახ. ეს არის შესანიშნავი პასისა და ძლიერი დარტყმის მქონე ფეხბურთელი, რომელიც თამაშს კარგად კითხულობს. ადრე სნეიდერს ნაკლებად ვიცნობდი, მაგრამ ახლა ყველამ დავინახეთ, რომ საქმის კარგად კეთება ძეუძლია.

**— ამბობენ, რომ მამათქვენი თქვენგან სნეიდერისნაირი ჯარიმების შესრულებას ითხოვს...**

— სჯობს, თუ დაარტყამ, ეს სნეიდერივით შეასრულოო — მეუბნება. რა თავისუფლად ასრულებს საჯარიმოებს ჰოლანდიელი... მე პირადად საგოლე პასის გაკეთებას ვამჯობინებ, თუმცა დარტყმების დახვეწასაც ვაპირებ. ახლა, როდესაც გუნდიდან რობერტო კარლოსი და დევიდ ბექჰემი წავიდნენ, საჯარიმოების შესრულების მეტი შანსი მაქვს. ვარჯიშზე და წვრთნის შემდეგაც ბევრს ვვარჯიშობ, რათა მატჩებისას უკეთ დავარტყა.

**— გუნდში ვინც არ უნდა მოვიდეს, რაულს სათადარიგოთა სკამზე მაინც ვერ დასვამს. რა არის კაპიტნის სიძლიერის საიდუმლო?**

— მისი ყოველდღიური, დაუღალავი შრომა. რაული ამ გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, შეიძლება ითქვას, რომ იგი „რეალის“ სიმბოლოა. სეზონის განმავლობაში რაულიც შეიძლება სათადარიგოებში მოხვდეს, მაგრამ ეს მხოლოდ გუნდისა და მის სასიკეთოდ.

**— კვლავ სამარცხვინოდ თვლით იმას, რომ რაული ესპანეთის ნაკრებში ვერ ხვდება?**

— დიახ და დღეს ამას ადრინდელზე მეტად განვიცდი. ეს შეცდომაა. ერთადერთი, რაც გვრჩება, უნდა დავიცადოთ...

**— „ფურია როხაში“ ვერც გუტის ვხედავთ...**

— ჩემი საქმე უფრო რთულადაა. თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ ნაკრებს ჩემს პოზიციაზე ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს — ინიესტა, ხავი, სესკი...

**— „რეალში“ ამჟამად ბევრი უცხოელი ფეხბურთელია, მაგრამ ესპანელთა ბირთვიც არსებობს, რომელიც გამწევ ძალად ითვლება...**

— ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ესპანელმა გულშემატკივარმა გუნდთან თავი გააიგივოს. ჩვენ ჯგუფის დანარჩენ წევრებს უნდა წარვუძღვეთ — ხსენებული ფაქტორი მთავარია გამარჯვების მისაღწევად.

**— თუმცა მადრიდული „კანტერას“ ზოგიერთმა აღზრდილმა ბერნდ შუსტერის ნდობა ვერ მოიპოვა. რა არის იმის მიზეზი, გუნდში რომ ვერ მოხვდნენ?**

— იცით, ახალგაზრდებმა დროებით სხვა კლუბებში იჯარით უნდა ითამაშონ, იქ თავი გამოიჩინონ და შუსტერიც უმალვე შეამჩნევს. დღეს ფილიალი გუნდის ბიჭებს თავიანთი აგენტები ჰყავთ, სხვადასხვა ფირმებთან კონტრაქტებს აფორმებენ და ასე შემდეგ. ეს მათზე უარყოფითად მოქმედებს. სანამ ძირითად „რეალში“ არ მოვედი, აგენტი არ მყოლია.

**— თან „რეალში“ არც ბოიან კრკიჩისა და ჯოვანი დოს სანტოსის დარი ახალგაზრდები თამაშობენ...**

— როგორ არა, მაგრამ ამ ბიჭებს პრიმერადივიზიონში თამაში მეტისმეტად ადრე უნდათ და კონტრაქტებს სხვებთან აფორმებენ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ გადაწყვეტილებებს მათ მაგივრად სხვები იღებენ.

**— „ბარსელონაში“ იქაური „ფანტასტიკოების“ (ანრი, რონალდინიო, ეტოო, მესი) ერთად მოედანზე გამოჩენა პრობლემატიკურად მიგაჩნიათ?**

— ასეთი რამ „ბერნაბეუზე“ უკვე გამოვცადეთ. გუნდში სუპერვარსკვლავების ყოფნა დიდ სიხარულს უკავშირდება, მაგრამ სავსებით შეიძლება ეს ტრაგედიად შემოგიტრიალდეს. „რეალმა“ „ბარსაში“ დღეს არსებული სიტუაცია სათავისოდ უნდა გამოიყენოს. როდესაც კატალონიურ გუნდს ვუყურებ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს „გალაქტიკოსების“ დროინდელი „რეალის“ სარკეში ვიხედებოდე. თუ „ბარსა“ მკაცრი ხელით არ მართა ვინმემ, უთუოდ პრობლემები შეაწუხებთ. ყველაფერი მწვრთნელზე, ფრანკ რაიკარდზეა დამოკიდებული.

**— „რეალის“ ფანები კი ბრწყინვალე ხასიათზე არიან. იმნადას „ელ მადრიგალზე“ „ვილიარეალთან“ 5:0 გამარჯვება ძალიან ახარებს...**

— „მადრიგალზე“ ჩვენი ფეხბურთის ნამდვილი სახე გამოჩნდა. შეიძლება ყოველთვის კარგად ვერ ითამაშო და ბევრი გოლი ვერ გაიტანო, მაგრამ საუკეთესო შედეგის მიღწევას ყოველთვის ვეცდებით. ახლა ფეხბურთის თამაშით ადრინდელზე მეტ სიამოვნებას ვიღებ და საკუთარ ძალებშიც ისე ვარ დარწმუნებული, როგორც არასდროს. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უკეთესი ატმოსფერო იგრძნობა. მოედანზე გამოსვლის დიდი სურვილი მაქვს, რადგანაც გუნდს რაღაც ახალს, განსაკუთრებით კარგს ვატყობ. თან ასაკიც მოქმედებს — მე და რამდენიმე სხვა მადრიდელი მოედანზე და მის გარეთ სიტუაციას დღეს განსხვავებულად ვუყურებთ.

**— დეკემბერში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მიხაელ ბალაკის სავარაუდო ტრანსფერი არ გაშფოთებთ? გერმანელმა შეიძლება კონკურენცია გაგიწიოთ...**

— ბალაკის დონის ფეხბურთელის შემატება გუნდისთვის ცუდი არასდროს არის, თუმცა ეს შემადგენლობა საკმარისად ძლიერია და ამ სეზონში ტრანსფერი აუცილებელი არ არის...

**— 30 წლის ხართ. საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას სანამდე აპირებთ?**

— გრძელვადიანი გეგმები არ მაქვს, მაგრამ რამდენსაც ვითამაშებ, მოედანზე ტყუილად არ გავჩერდები. „რეალთან“ კონტრაქტით სამი წლით მიწევს თამაში. ზედმეტად ამბიციური არ ვარ, თუ ფიზიკურად კარგ ფორმაში ვიქნები, ისევ „ბერნაბეუზე“ დავრჩები, სხვა გუნდში არ წავალ.

**— სამომავლოდ ერთი მიზანი უნდა შეასრულოთ — ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში ძირითადში უნდა იყოთ...**

— მართალია. ორი რაღაცა არსებობს, რომელსაც არ ვიცი, თუ მივაღწევ, მაგრამ ცდას არ დავაკლებ. პირველი მიზანი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბურთაობაა, მეორე კი ესპანეთის ნაკრებში დაბრუნება. ვაღიარებ, რომ ნაკრებში არყოფნა ძალიან მაწუხებს. ვერ დამიჯერებია, რომ ევროპის ჩემპიონატზე და მუნდიალზე წუთითაც არ მითამაშია.

**— „რეალის“ უფროსობამ გადაწყვიტა, მატჩების წინ შეკრებისგან გაგათავისუფლოთ. ფეხბურთელებმა ეს სიახლე როგორ მიიღეთ?**

— ძალიან კარგად. ყოველ სამ დღეში თამაში გვიწევს და სასტუმროებში ყოფნა მოსაბეზრებელია. ზრდასრული ხალხი ვართ და თავს მატჩის წინ სახლშიც შევინახავთ.

**— მომდევნო ტურში „ალმერიას“ ხვდებით...**

— ჩვენი მეტოქე კარგად შეთამაშებული გუნდია და გაგვიმართლა, ნევრედო რომ არ ითამაშებს. იგი მეგოლეა, მაგრამ „ალმერიას“ წარმოშობით მადრიდელი ძლიერი მოთამაშე კორონაც ჰყავს. ადვილი მატჩი არ იქნება.

# არავითარი დოპინგი! დაიბრუნეთ თქვენი რონალდო



რონალდო და კარლო ანჩელოტი

**ბრაზილიის** ნაკრების ექიმმა ჟოზე ლუის რუნკომ განაცხადა, რონალდოსთვის არანაირი აკრძალული პრეპარატი არ მიმიცია, არც დამინიშნავს და იტალიაში ამის გამო სულ ტყუილად ატეხეს აურზაურიო.

„რონალდოს ექსპერიმენტული და განსაკუთრებული მკურნალობა არ სჭირდება. ჩვენ ტრადიციულ, ყოველმხრივ ლეგალურ და უსაფრთხო მეთოდს მივმართეთ. მისი კუნთი მოშუშების პირასაა, მაგრამ ამას კიდევ ორი-სამი კვირა სჭირდება. „მილანის" ექიმ მასიმილიანო სალას ყველაფერი ავუხსენი. ასე რომ, „კიჭას" შეუძლია, მკურნალობა იტალიაში გააგრძელოს" — თქვა რუნკომ.

„როსონერის" მწვრთნელ კარლო ანჩელოტის იმედი ჰქონდა, რომ გამოცდილი ფორვარდი, რომელიც 22 სექტემბერს 31 წლის გახდება, მომავალ უქმეებზე „სიენასთან" მაინც ითამაშებდა, მაგრამ მას რონალდოს ლოდინი ალბათ ოქტომბრამდე მოუწევს.

„როგორ არის რონი? ჯობს, „მილანის" ექიმებს ჰკითხოთ. თავიდან მითხრეს, 10 სექტემბრისთვის იქნება მწყობრშიო, მერე 12 სექტემბრისთვისო... მე კი ისევ ველოდები" — აღნიშნა დამწუხრებულმა ანჩელოტიმ.

**კოკი კანდელაკი**




„კალიარისთან" მატჩი იუვეს ჯონათან ძებინას (№5) ძვირად დაუჯდა

AFP

# ძებინას ხელი შეუბრუნეს რანიერის არ ეშინია

**ტურინის** „იუვენტუსის" ფრანგი მცველი ჯონათან ძებინა სადისციპლინო კომიტეტმა ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და 15 ათასი ევროთი დააჯარიმა. შესაბამისად, 29 წლის ფეხბურთელი თავის გუნდს „ფიორენტინასთან" მე-7 ტურის მატჩამდე ვეღარ დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ ძებინას დასჯის მიზეზი სერია A-ს მეორე ტურში „კალიარისთან" მატჩში მომხდარი ინციდენტია — როდესაც მსაჯმა ფეთქებადი ხასიათის ფრანგს წითელი ბარათი უჩვენა, მავანმა რეპორტიორმა იგი დააჩქარა, მინდორი მალე დატოვეო. ჰოდა, ძებინამაც მას ლოყაზე ხელი „მოუთათუნა", სანამ სამართალდამცავები გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში შეიყვანდნენ.

„ბებერი ქალბატონის" ბანკში ამ ინფორმაციას სიხარულით ნამდვილად არ შეხვდებოდნენ, მით უმეტეს, რომ ტრავმის გამო ორი თვე ვერ ითამაშებს ძებინას თანამემამულე ჟან-ალენ ბუმსონგიც, რაც „იუვენტუსის" დაცვაში არსებულ პრობლემებს უფრო ამწვავებს.

მიუხედავად ამისა, „ბიანკონერის" თავკაცი კლაუდიო რანიერი ოპტიმისტურ განწყობას ინარჩუნებს. მომავალ უქმეებზე „იუვენტუსი" „უდინეზეს" მასპინძლობს, მაგრამ იგი უკვე მე-4 ტურზე ფიქრობს, რომელშიც ტურინელები „რომას" სტუმრობენ...

„მე „იუვენტუსის" მწვრთნელი ვარ, კლუბის, რომელიც მოგებასაა მიჩვეული, ეს გუნდის სისხლშია. ასე რომ, ჩვენ რომში მაქსიმუმის გასაკეთებლად ჩავალთ და 3 ქულის მოპოვებას ვეცდებით. დარწმუნებული ვარ, ამ გუნდს დიდი წარმატებების მიღწევა ძალუძს. მთავარია, წინსვლა განვაგრძოთ. ნელ-ნელა შეცდომებსაც ვასწორებთ. ერთადერთი გზა წარმატებების მისაღწევად უშიშრად თამაშია და მით უმეტეს, ჩვენ რატომ უნდა შევუშინდეთ ვინმეს?! მე სულ მოგება მინდა და მყავს ჩემპიონებით დაკომპლექტებული გუნდი, რომლის სურვილიც იგივეა" — თქვა რანიერიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

# ნეაპოლელი მონტელა ნაპოლისთვის ემზადება

**მომავალ** კვირას „სამპდორია" „ნაპოლის" სტუმრობს და გენუელთა რიგებში ამ ზაფხულს გადასული ვინჩენცო მონტელა ამ მატჩისთვის განსაკუთრებით ემზადება. საქმე ის არის, რომ 33 წლის ფორვარდი ნეაპოლელია და ყოველთვის სურდა „ნაპოლიში" თამაში, მაგრამ...

როგორც ირკვევა, „აეროპლანინოს" იმედი ჰქონდა, რომ ამ ზაფხულს სერია A-ში დაბრუნებული „ნაპოლისგან" მიწვევას მიიღებდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

„ძალიან აღელვებული ვარ, რადგან, როგორც ნეაპოლელისთვის, უცნაური იქნება „ნაპოლის" წინააღმდეგ თამაში. ძალიან მიხარია, რომ ეს გუნდი სერია A-ში დაბრუნდა და ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადები. სამწუხაროა, რომ „ნაპოლიში" არ ვთამაშობ, რაც ყოველთვის მინდოდა. სიმართლე გითხრათ, ამ ზაფხულს მათგან მოწვევას ველოდი, მაგრამ ასე არ მოხდა და ცოტა გულდაწყვეტილი დავრჩი. არ ვიცი, ვიზეიმებ თუ არა გოლის გატანის შემთხვევაში. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, იმ მომენტში რა გრძნობა დამეუფლება. თუმცა ცხადია, როგორც ყოველთვის, ყველანაირად ვეცდები გოლის გატანას" — განაცხადა მონტელამ.

**კოკი კანდელაკი**




# ორივეს ერთი უნდოდა

**„სევილიას"** მეკარემ ანდრეს პალოპმა კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა.

„კარიერის დასრულება ამ გუნდში მსურდა და კლუბსაც ჩემი დატოვება უნდოდა. აქაურობას შევეჩვიე და სხვაგან გადასვლას აღარ ვაპირებ" — განაცხადა 33 წლის პალოპმა, რომელმაც მაისში, უეფას თასის ფინალში „ესპანიოლთან" პენალტების სერიაში სამჯერ იყოჩაღა.

**გაგა ხუციშვილი**



## ტრაორე პარიზიდან გაიქცა

პსჟ-ს მცველი სემი ტრაორე სეზონის ბოლომდე „ოსერში" ითამაშებს. ფეხბურთელი პოლ ლე გუენის გეგმებში ვერ ჩაჯდა და გუნდის გამოცვლა გადაწყვიტა.

ლე გუენი პსჟ-ში ამ ზაფხულს მივიდა, ტრაორეს კი პარიზულ კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს.

„ოსერმა" 7 ტურში 15 გოლი გაუშვა და ბოლოდან მესამე ადგილზეა. ასე რომ, მაღალი მცველით დაცვას შეეშველება.

ალბათ სემი ტრაორე ზეგ „ნიცასთან" ითამაშებს.

## რიჩარდსონი ზურგში დაჭრეს

ამ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „სანდერლენდში" გადასული კირონ რიჩარდსონი დაშავდა და სამი თვე მკურნალობა მოუწევს.

შემოწმებამ დაადგინა, რომ ნახევარმცველის ზურგის ტრავმა გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ვარაუდობდნენ. რიჩარდსონს გუშინ ოპერაცია გაუკეთეს.

„ჩვენ ვფიქრობდით, რომ მის ტრავმას უოპერაციოდ მოევლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოვიდა" — დაიჩივლა „სანდერლენდის" მწვრთნელმა როი კინმა.

## ორთვიანი მხარი

**„ოლიმპიაკოსის"** მეკარე ტომისლავ ბუტინა მარჯვენა მხრის ტრავმის გამო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ დაეხმარება.

33 წლის ხორვატმა ვარჯიშზე მხარი იღრძო. ოპერაცია არ დასჭირდება, მაგრამ მკურნალობა ორი თვე გაგრძელდება.

„ოლიმპიაკოსი" უეფაში წერილის გაგზავნას აპირებს, რადგან ბუტინა სალიგო განაცხადში იყო შეყვანილი და მისი შეცვლა სურთ. თუ უეფა დათანხმდა, ხორვატიის ნაცვლად 23 წლის მიხალის სიფაკისი ითამაშებს.

**გაგა ხუციშვილი**

# მეგაზეთე ლუკარელი

**დონეცკის** „შახტარის" იტალიელი ფორვარდი კრისტიანო ლუკარელი გამომცემელი გახდა.

მშობლიურ ქალაქ ლივორნოში გაზეთი „კორიერე დი ლივორნო" დააარსა, რომელიც რეგიონული იქნება და ყოველდღე გამოვა.

პირველი ნომერი იტალიელებმა 9 სექტემბერს იხილეს.

გაზეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკურია და მხოლოდ ლუკარელის ქალაქში გაიყიდება.

**გაგა ხუციშვილი**



## მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატი. ქალები. ჩინეთი. 10-30 სექტემბერი

**პირველი ტური**

**A ჯგუფი**

გერმანია 11:0 არგენტინა

იაპონია 2:2 ინგლისი

**B ჯგუფი**

აშშ 2:2 კორეა

ნიგერია 1:1 შვედეთი

**C ჯგუფი**

განა 1:4 ავსტრალია

ნორვეგია 2:1 კანადა

**D ჯგუფი**

ახალი ზელანდია 0:5 ბრაზილია

ჩინეთი 3:2 დანია

# სარბიელი & კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 1 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| 15:45 | 2 | პორტსმუთი-ლივერპული | 4.50 | 3.30 | 1.65 | 1.90 | 1.20 | 1.10 |
| 16:30 | 3 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 4 | ბირმინგემი-ბოლტონი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 5 | სანდერლენდი-რედინგი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 6 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 20:15 | 7 | ჩელსი-ბლეკბერნი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 18:00 | 455 | უიგანი-ფულემი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 8 | სიტი-ასტონ ვილა | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 9 | დერბი-ნიუკასლი | 3.90 | 3.20 | 1.80 | 1.75 | 1.23 | 1.15 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 10 | შეფილდი-ვულვერჰემპტონი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 12 | ბარნსლი-სკანთორპი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 13 | ვესტ ბრომვიჩი-იფსვიჩი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 18:00 | 14 | ბარნლი-ბლეკპული | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 15 | კოლჩესტერი-ჩარლტონი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 18:00 | 16 | ქოვენთრი-ბრისტოლი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 18:00 | 17 | ჰალი-სტოკი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 18 | ლესტერი-ქპრ | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 | 19 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 20 | პრესტონი-უენსდი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 20:15 | 21 | პლიმუთი-კარდიფი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:15 | 11 | უოტფორდი-საუთჰემპტონი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 22 | ტრანმერი-ლუტონი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 25 | როვერსი-ლიდსი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 22:45 | 592 | სუონსი-კარლაილი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 23 | ბორნმუთი-ნორთჰემპტონი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 24 | იოვილი-ლეიტონი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 26 | დონკასტერი-ქრიუ | 1.70 | 3.20 | 4.65 | 1.11 | 1.24 | 1.89 |
| 18:00 | 27 | ჯილინგემი-ბრაიტონი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 28 | ჰარტლპული-სუინდონი | 1.70 | 3.20 | 4.65 | 1.11 | 1.24 | 1.89 |
| 18:00 | 29 | ჰადერსფილდი-ჩელტენემი | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 18:00 | 30 | მილუოლი-უოლსოლი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 | 31 | ოლდემი-საუთენდი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 32 | პორტ ვეილი-ნოტინგემი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 33 | ნოტსი-დაგ ენდ რედი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 34 | ბარნეტი-როჩდეილი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 35 | რექსემი-როტერჰემი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 36 | ბრედფორდი-პიტერბრო | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 37 | ბრენტფორდი-დონსი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 38 | ბერი-ჩესტერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 39 | დარლინგტონი-ლინკოლნი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 18:00 | 40 | გრიმსბი-სტოკპორტი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 41 | მაკლსფილდი-უიკომბი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 15:00 | 42 | მენსფილდი-ჩესტერფილდი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 43 | მორიკომბი-ჰერეფორდი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 591 | შრიუსბერი-აკრინგტონი | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 55 | ფორესტ გრინი-სალისბერი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 49 | ტორკი-ჰალიფაქსი | 1.52 | 3.40 | 6.20 | 1.05 | 1.22 | 2.19 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 44 | უოკინგი-ალტრინჰემი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 18:00 | 45 | სტეფორდი-გრეისი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 46 | ფარსლი-ექსეტერი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 47 | იორკი-სტივენეიჯი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 48 | დროილსდენი-ვეიმუთი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 50 | ოქსფორდი-ალდერშოტი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 51 | კემბრიჯი-ქროული | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 52 | რაშდენი -ბარტონი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 53 | ებსფლითი-კიდერმინსტერი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 54 | ნორთვიჩი-ჰისტონი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 56 | გრეტნა-კილმარნოკი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 15:30 | 57 | ჰართსი-რეინჯერსი | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| 18:00 | 58 | აბერდინი-მოზერუელი | 1.65 | 3.30 | 4.40 | 1.10 | 1.20 | 1.88 |
| 18:00 | 59 | სელტიკი-ინვერნესი | 1.12 | 6.20 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.38 |
| 18:00 | 61 | ფოლკირკი-ჰიბერნიანი | 3.25 | 3.20 | 2.00 | 1.61 | 1.23 | 1.23 |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 60 | დანდი იუნაიტედი-სტ.მირენი | 1.70 | 3.30 | 4.45 | 1.12 | 1.23 | 1.89 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 62 | დანდი-დანფერმლაინი | 2.05 | 3.40 | 2.90 | 1.27 | 1.20 | 1.56 |
| 18:00 | 63 | ჰამილტონი-სტირლინგი | 1.60 | 3.70 | 4.20 | 1.11 | 1.15 | 1.96 |
| 18:00 | 64 | ლივინგსტონი-მორტონი | 2.25 | 3.40 | 2.55 | 1.35 | 1.19 | 1.45 |
| 18:00 | 65 | ქუინი-კლაიდი | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |
| 18:00 | 66 | სტ.ჯონსტონი-პარტიკი | 1.75 | 3.40 | 3.70 | 1.15 | 1.18 | 1.77 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 67 | ერდრი-პიტერჰედი | 1.65 | 3.50 | 4.25 | 1.12 | 1.18 | 1.91 |
| 18:00 | 68 | ალოა-ქუინზ პარკი | 2.70 | 3.40 | 2.15 | 1.50 | 1.19 | 1.31 |
| 18:00 | 69 | ბერიკი-ბრეჩინი | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 70 | კოუდენბითი-ეარი | 2.65 | 3.40 | 2.20 | 1.48 | 1.20 | 1.33 |
| 18:00 | 71 | რეითი-როსი | 1.85 | 3.40 | 3.40 | 1.19 | 1.19 | 1.70 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 72 | დამბარტონი-სტენჰაუზმური | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |
| 18:00 | 73 | ისტ სტირლინგი-სტრანრარი | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 74 | ელგინი-ალბიონი | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| 18:00 | 75 | ფორფარი-არბროთი | 3.40 | 3.40 | 1.85 | 1.70 | 1.19 | 1.19 |
| 18:00 | 76 | მონტროუზი-ისტ ფაიფი | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 77 | დორტმუნდი-ვერდერი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 78 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.35 | 4.00 | 7.70 | 1.00 | 1.14 | 2.63 |
| 17:30 | 79 | ბაიერნი-შალკე | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 17:30 | 80 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.55 | 3.60 | 5.10 | 1.08 | 1.18 | 2.11 |
| 17:30 | 81 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 17:30 | 82 | არმინია-ჰანზა | 1.70 | 3.30 | 4.35 | 1.12 | 1.22 | 1.87 |
| 17:30 | 83 | აინტრახტი-ჰამბურგი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 84 | ვოლფსბურგი-კარლსრუე | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 19:00 | 85 | დუისბურგი-ჰერტა | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 86 | კაიზერსლაუტერნი-პადერბორნი | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 20:00 | 87 | კარლ ცაისი-კობლენცი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 20:00 | 88 | ზტ.პაული-ოფენბახი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 89 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 16:00 | 90 | ალემანია-მიუნხენი 1860 | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 16:00 | 91 | აუგსბურგი-ვეენი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 16:00 | 92 | კიოლნი-ფიურტი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 16:00 | 93 | ჰოფენჰაიმი-ოსნაბრიუკი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:15 | 94 | აუე-მიონხენგლადბახი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 113 | რაპიდი-შტურმი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 20:00 | 114 | რიდი-ტიროლი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 20:00 | 115 | ზალცბურგი-მატერსბურგი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 20:00 | 116 | ლინცერი-ალტახი | 1.60 | 3.60 | 4.50 | 1.10 | 1.18 | 2.00 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 118 | ლეობენი-კერნტენი | 1.40 | 3.80 | 6.30 | 1.02 | 1.14 | 2.37 |
| 21:00 | 120 | აუსტრია(ლ)-აუსტრია(მ) | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 21:00 | 121 | გრატკორნი-ლუსტენაუ | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 119 | ზალცბურგი მ-პარნდორფი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 17:30 | 122 | შვანენშტადტი-კაფენბერგი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 129 | ლაციო-ემპოლი | 1.60 | 3.20 | 5.70 | 1.06 | 1.24 | 2.04 |
| 20:00 | 134 | სიენა-მილანი | 7.00 | 3.40 | 1.45 | 2.28 | 1.20 | 1.01 |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 125 | ფიორენტინა-ატალანტა | 1.40 | 3.40 | 8.50 | 1.00 | 1.20 | 2.42 |
| 17:00 | 126 | ჯენოა-ლივორნო | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 17:00 | 127 | ინტერი-კატანია | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 17:00 | 128 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |
| 17:00 | 130 | ნაპოლი-სამპდორია | 2.15 | 2.80 | 3.40 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| 17:00 | 131 | პალერმო-ტორინო | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 22:30 | 132 | პარმა-კალიარი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 17:00 | 133 | რეჯინა-რომა | 6.50 | 3.40 | 1.50 | 2.23 | 1.21 | 1.04 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 135 | ვიჩენცა-მანტოვა | 2.85 | 2.80 | 2.40 | 1.41 | 1.30 | 1.29 |
| 18:00 | 136 | აველინო-ბოლონია | 3.85 | 2.80 | 1.95 | 1.62 | 1.29 | 1.14 |
| 18:00 | 137 | კიევო-მოდენა | 1.60 | 3.20 | 5.50 | 1.06 | 1.23 | 2.02 |
| 18:00 | 138 | გროსეტო-ჩეზენა | 2.20 | 2.80 | 3.25 | 1.23 | 1.31 | 1.50 |
| 18:00 | 139 | ლეჩე-ასკოლი | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 18:00 | 140 | მესინა-ფროზინონე | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 18:00 | 141 | პიაჩენცა-ბარი | 2.00 | 2.80 | 3.60 | 1.16 | 1.28 | 1.57 |
| 18:00 | 142 | პიზა -ბრეშა | 2.85 | 2.80 | 2.40 | 1.41 | 1.30 | 1.29 |
| 18:00 | 143 | რავენა-ალბინოლეფე | 2.10 | 2.80 | 3.30 | 1.20 | 1.28 | 1.51 |
| 18:00 | 144 | რიმინი-ტრევიზო | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 18:00 | 145 | სპეცია-ტრიესტინა | 2.10 | 2.80 | 3.35 | 1.20 | 1.29 | 1.52 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 165 | ბილბაო-სარაგოსა | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 22:00 | 169 | რეალი-ალმერია | 1.15 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.28 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 170 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 23:00 | 164 | ოსასუნა-ბარსელონა | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| 19:00 | 166 | რასინგი-ლევანტე | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 19:00 | 167 | მურსია-ატლეტიკო | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| 19:00 | 168 | მალიორკა-ვილიარეალი | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| 19:00 | 171 | დეპორტივო-ბეტისი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 172 | ესპანიოლი-ხეტაფე | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 21:00 | 173 | სევილია-უელვა | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 23:30 | 174 | ალბასეტე-ნუმანსია | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 20:30 | 177 | ალავესი-კადისი | 2.55 | 3.00 | 2.55 | 1.37 | 1.27 | 1.37 |
| 22:00 | 182 | ლას პალმასი-სოსიედადი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 20:30 | 183 | ელჩე-ფეროლი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 20:30 | 184 | სერესი-სპორტინგი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 175 | ტენერიფე-პერკულესი | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| 22:30 | 176 | სალამანკა-გრანადა 74 | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| 22:00 | 178 | კორდობა-ატლ. სევილია | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 14:00 | 179 | კასტელონი-მალაგა | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 20:00 | 180 | ეიბარი-ტარაგონა | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 20:00 | 181 | ეხიდო-სელტა | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 185 | ოსერი-ნიცა | 2.05 | 2.90 | 3.55 | 1.20 | 1.29 | 1.59 |
| 22:00 | 186 | ლე მანი-ვალენსიენი | 1.90 | 3.00 | 3.80 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| 22:00 | 187 | ლანსი-ნანსი | 2.10 | 2.90 | 3.30 | 1.21 | 1.28 | 1.54 |
| 22:00 | 188 | ლილი-ბორდო | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 19:10 | 190 | მარსელი-ტულუზი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 22:00 | 191 | მეცი-ლიონი | 6.80 | 3.50 | 1.45 | 2.31 | 1.19 | 1.02 |
| 22:00 | 193 | სტ.ეტიენი-კაენი | 1.65 | 3.20 | 4.90 | 1.08 | 1.23 | 1.93 |
| 22:00 | 194 | სოშო-სტრასბური | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 189 | ლორიანი-რენი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 23:00 | 192 | მონაკო-პსჟ | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 195 | ტრუა-რეიმსი | 1.60 | 3.20 | 5.20 | 1.06 | 1.22 | 1.98 |
| 22:00 | 196 | აიაჩო-ამიენი | 1.90 | 3.00 | 3.70 | 1.16 | 1.25 | 1.65 |
| 22:00 | 197 | ბულონი-შატორუ | 2.05 | 2.90 | 3.40 | 1.20 | 1.27 | 1.56 |
| 22:30 | 198 | დიჟონი-ლე ავრი | 2.45 | 2.80 | 2.80 | 1.30 | 1.30 | 1.39 |
| 22:30 | 199 | გრენობლი-ბრესტი | 1.80 | 3.00 | 4.25 | 1.12 | 1.26 | 1.75 |
| 22:00 | 200 | გენიონი-კლერმონი | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |
| 22:00 | 201 | გენგამი-მონპელიე | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 22:00 | 202 | ლიბურნი-ბასტია | 2.45 | 2.80 | 2.80 | 1.30 | 1.30 | 1.39 |
| 22:00 | 204 | ნიორი-ანჟე | 1.95 | 3.00 | 3.70 | 1.18 | 1.27 | 1.65 |
| | | 17 სექტემბერი | | | | | | |
| 22:30 | 203 | ნანტი-სედანი | 1.80 | 3.00 | 4.40 | 1.12 | 1.27 | 1.78 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 205 | ანდერლეხტი-ვარეგემი | 1.18 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.07 | 3.67 |
| 22:00 | 206 | ბრიუგე-ლოკერენი | 1.38 | 3.80 | 7.40 | 1.01 | 1.16 | 2.51 |
| 22:00 | 208 | ბეერსხოტი-შარლერუა | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:00 | 209 | მეხელენი-მუსკრონი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 22:00 | 210 | მონსი-ბრიუსელი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 22:00 | 211 | რუზელარე-სერკლი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 213 | ვესტერლო-დენდერი | 1.55 | 3.40 | 5.40 | 1.06 | 1.20 | 2.08 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 207 | გენტი-სტანდარდი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:30 | 212 | სტ.ტრუიდენი-გენკი | 3.90 | 3.40 | 1.75 | 1.81 | 1.20 | 1.15 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 22:30 | 223 | გრონინგენი-უტრეხტი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 224 | პსვ-ვიტესი | 1.33 | 4.30 | 7.30 | 1.01 | 1.12 | 2.70 |
| 22:00 | 225 | ექსელსიორი-ჰერენვენი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 22:00 | 226 | ჰერაკლესი-აიაქსი | 7.00 | 3.80 | 1.38 | 2.46 | 1.15 | 1.01 |
| 22:00 | 227 | გრააფსხაპი-ვენლო | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 16:30 | 228 | სპარტა-ალკმაარი | 5.20 | 3.50 | 1.55 | 2.09 | 1.19 | 1.07 |
| 16:30 | 229 | ტილბურგი-ტვენტე | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 16:30 | 230 | ნაიმეგენი-ბრედა | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 14:30 | 231 | როდა-ფეიენოორდი | 3.35 | 3.30 | 1.90 | 1.66 | 1.21 | 1.20 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 23:15 | 258 | სეტუბალი-ბრაგა | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 253 | ბენფიკა-ნავალი | 1.18 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.07 | 3.67 |
| 20:00 | 254 | ბოავიშტა-ლეიშოეში | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 22:15 | 256 | პორტუ-მარიტიმუ | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 251 | აკადემიკა-ფერეირა | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 23:15 | 252 | ბელენენსეში-ლეირია | 1.80 | 3.10 | 4.20 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| 21:00 | 255 | ამადორა-სპორტინგი | 5.50 | 3.50 | 1.50 | 2.13 | 1.17 | 1.04 |
| | | 17 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 257 | გიმარაეში-ნასიონალი | 1.80 | 3.20 | 3.85 | 1.15 | 1.22 | 1.74 |
| | | პორტუგალია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 266 | ვარზიმი-ვიზელა | 1.65 | 3.20 | 4.40 | 1.08 | 1.20 | 1.85 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 259 | ბეირა მარი-პენაფიელი | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 19:00 | 260 | ეშტორილი-ფრეშუდი | 2.05 | 3.00 | 3.20 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| 19:00 | 261 | ფეირენსე-ფატიმა | 1.70 | 3.10 | 4.30 | 1.09 | 1.21 | 1.80 |
| 19:00 | 262 | გონდომარი-პორტიმონენსე | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 263 | ოლიანენსე-სანტა კლარა | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 14:00 | 264 | რიუ ავე-ფოლ ვისენტე | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| 19:00 | 265 | ტროფენსე-ავეში | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 275 | ანკარა-ბეშიქთაში | 4.40 | 3.50 | 1.65 | 1.94 | 1.20 | 1.12 |
| 21:30 | 276 | დენიზლი-კასიმპასა | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 22:00 | 277 | ფენერბაჩე-რიზე | 1.18 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.53 |
| 21:30 | 282 | სივასპორი-ოფთასპორი | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 278 | გალათასარაი-კონია | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 21:30 | 279 | გაზიანთეფი-კაისერი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 21:30 | 280 | გენჩლერბირლიგი-მანისა | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:30 | 281 | ისტანბული-ბურსა | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 283 | ტრაბზონი-ანკარაგიუჯუ | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 286 | იაგიელონია-კორონა | 1.00 | | | | | |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 20:15 | 293 | სლავია-ბანიკი | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| 21:00 | 297 | სიგმა-ბრნო | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 294 | ბოლესლავი-მოსტი | 1.50 | 3.50 | 5.80 | 1.04 | 1.19 | 2.18 |
| 19:00 | 295 | იაბლონეცი-ბოჰემიანსი 1905 | 1.55 | 3.30 | 5.80 | 1.05 | 1.22 | 2.10 |
| 12:15 | 296 | ჟიჟკოვი-ლიბერეცი | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 17:00 | 298 | კლადნო-ბუდეიოვიცე | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 21:15 | 299 | ტეპლიცე-სპარტა | 2.90 | 3.00 | 2.30 | 1.47 | 1.28 | 1.30 |
| | | 17 სექტემბერი | | | | | | |
| 19:15 | 292 | პლზენი-ზლინი | 1.80 | 3.10 | 4.20 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 300 | სენეცი-არტმედია | 4.80 | 3.40 | 1.55 | 1.99 | 1.17 | 1.06 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 301 | დუბნიცა-ზლატე მორავცე | 2.00 | 3.00 | 3.30 | 1.20 | 1.24 | 1.57 |
| 21:30 | 302 | ტრნავა-ჟილინა | 2.80 | 2.90 | 2.30 | 1.42 | 1.26 | 1.28 |
| 21:30 | 303 | ბ.ბისტრიცა-სლოვანი | 2.40 | 2.90 | 2.65 | 1.31 | 1.25 | 1.38 |
| 21:30 | 304 | კოშიცე-ტრენჩინი | 1.50 | 3.50 | 5.30 | 1.04 | 1.16 | 2.10 |
| 21:30 | 305 | ნიტრა-რუჟომბეროკი | 2.00 | 3.00 | 3.30 | 1.20 | 1.24 | 1.57 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 313 | კოპენჰაგენი-ჰორსენსი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 20:30 | 312 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 16:00 | 314 | მიდტიულანდი-ოდენსე | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| 18:00 | 316 | რანდერსი-ორჰუსი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 18:00 | 317 | ვიბორგი-ლიუნგბიუ | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | 17 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 315 | ნორდსიელანდი-ესბიერგი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 329 | სტარტი-რუსენბორგი | 2.90 | 3.30 | 2.05 | 1.54 | 1.20 | 1.26 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 326 | ოდ გრენლანდი-სტაბეკი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 22:00 | 327 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 20:00 | 328 | სანდეფიორდი-ვოლერენგა | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 20:00 | 330 | ლინი-ვიკინგი | 2.50 | 3.30 | 2.35 | 1.42 | 1.21 | 1.37 |
| 20:00 | 331 | ლილესტრიომი-ტრომსიო | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| | | 17 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 332 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 341 | გიოტებორგი-ელფსბორგი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 346 | ჰამარბი-გეფლე | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 342 | ჰალმსტადი-აიკ | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 19:00 | 343 | ჰელსინგბორგი-ბრომაპოიკარნა | 1.40 | 3.70 | 6.60 | 1.01 | 1.15 | 2.37 |
| 19:00 | 344 | კალმარი-გაის | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| | | 17 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 345 | იურგორდენი-ტრელებორგი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 21:00 | 347 | მალმიო-იორებრო | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 350 | ლანდსკრონა-სუნდსვალი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 21:00 | 351 | ჰეკენი-იორგრიტე | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 21:00 | 578 | ბანკეფლო-ატვიდაბერგი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 19:30 | 360 | იარო-ტურკუ | 3.00 | 3.20 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |
| 19:30 | 361 | მიუპა-ჰიკ | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:30 | 362 | ჰაკა-ვიიკინგიტი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 19:30 | 363 | ოულუ-მარიეჰამნი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | 17 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 364 | კტპ-ლაჰტი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 370 | დროგედა-დერი | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 22:45 | 371 | კორკი-ლონგფორდი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 22:45 | 372 | უოტერფორდი-ბოჰემიანი | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| 22:45 | 373 | სტ.პატრიკსი-ბრეი | 1.47 | 3.60 | 6.20 | 1.04 | 1.18 | 2.27 |
| 23:00 | 374 | შემროკი-გალვეი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 375 | სლიგო-დუბლინი | 1.90 | 3.10 | 3.55 | 1.17 | 1.23 | 1.65 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 385 | ჩივასი-ლოს ანჯელესი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | რაგბი მსოფლიო თასი | | | | | | |
| | | 2007 საფრანგეთი | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 542 | სამხ აფრიკა-ინგლისი | 1.15 | 20.00 | 4.00 | 1.08 | 1.00 | 3.33 |
| 18:00 | 543 | სამხ აფრიკა-ინგლისი 0:14 | 1.55 | 15.00 | 1.80 | | | |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ფეხბურთი მის გონებაში

## როჯერ ფედერერმა იღბალს უჯობა

**აშშ-ს ღია პირველობის ზედიზედ მეოთხედ დალაშქვრით როჯერ ფედერერმა კარიერაში მოგებული სლემტურნირების რაოდენობა 12-მდე აიყვანა. გენიალურ ალპელს პიტ სამპრასის რეკორდამდე — 14 სლემამდე ორი გამარჯვებაღა აკლია. კვირას ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩის ძლევის შემდეგ მან ტრადიციული ინტერვიუ მისცა საჩოგბურთო ვებგვერდს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ შვეიცარიელმა პირველად სწორედ ამ ინტერვიუში განაცხადა, ამ რეკორდის გაუჯობესებაზე სერიოზულად ვფიქრობო. გარდა ამისა, მოცემულ ინტერვიუში ფედერერი ფეხბურთისადმი თავის დამოკიდებულებასა და სხვა მრავალ საინტერესო თემასაც ეხება**


AFP ნიუ იორკში

**— უიმბლდონზე არაერთხელ გითქვამთ, რომ ის თქვენი უსაყვარლესი ტურნირია. რას ნიშნავს თვენთვის აშშ-ს ღია პირველობაზე მოპოვებული გამარჯვებები?**

— უიმბლდონი ჩემთვის ყოველთვის დარჩება ნომერ პირველ ტურნირად. მაგრამ უკანასკნელ წლებში ნიუ იორკის დაფასებაც დავიწყე, განსაკუთრებით ანდრე აგასისთან მეტად სამახსოვრო ფინალის შემდეგ (ორი წლის წინ იყო). არცთუ დიდი ხანია, რაც გავაცნობიერე თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ტურნირი და რა ძნელია აქ გამარჯვება, ყოველდღე 24 000 მაყურებლის წინ თამაში ხომ დიდი პასუხისმგებლობაა.

**— ნოვაკი ამბობდა, რომ გადამწყვეტ მომენტებში ნერვებმა დაალალატეს, რადგან პირველად თამაშობდა სლემტურნირის ფინალში. ეს თქვენც იგრძენით?**

— იცით, ეს გარკვეულწილად სასაცილოც არის, რადგან მონრეალის მასტერსის ფინალშიც ზუსტად ასეთივე მდგომარეობა იყო, ოღონდ იქ მე ვიგებდი 6:5-ს და მოწოდებაზე 40:0 მქონდა. ცოტა რომ დაფიქრდე, შეიძლება, გაგიჟდე კიდეც, იმდენად ჰგავდა ეს ორი მატჩი ერთმანეთს; ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად მე შევძელი ლამის წაგებული გეიმისა და შესაბამისად სეტის შემოტრიალება. რაც შეეხება მის ნერვიულობას, ალბათ მართლაც ეგრეა, რადგანაც ის ჩვეულად ძლიერად ვერ აწოდებდა და უკანა ხაზიდანაც უჩვეულოდ პასიური იყო. ისე, მეც მაგრად გაკვირვებული ვიყავი, ის გეიმი რომ ამოვიღე. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ შანსი ყოველთვის გაქვს და ბოლომდე ბრძოლაც ყოველთვის ღირს.

**— ყველა გააკვირვეთ, ტურნირის დიდი ნაწილი შავებში ჩაცმულმა რომ ჩაატარეთ. ეს სპონსორების თხოვნა იყო?**

— მთლიანობაში არც მე ვიყავი წინააღმდეგი, რადგანაც შავები მომწონს. რომ ეთქვათ, ყვითლებში გადიო, ამას ნამდვილად არ ვიზამდი — ადრე ვქენი ასეთი სისულელე და მაგრადაც ვინანე. ისე, შავებში თამაში სასიამოვნო იყო. თან ამის გაკეთება მხოლოდ აქ შემეძლო.

**— ნახევარფინალის შემდეგ დავიდენკომ იღბლიანი გიწოდათ. დღესაც ორჯერ ბურთი ხაზზე დაეცა, ერთხელ კი ჯოკოვიჩს მილიმეტრი დააკლდა ქულის აღებამდე. მართლა იღბლიანი ხართ?**

— ეს სხვებს ჰკითხეთ. ისე, ყოველთვის ვამბობდი, რომ იღბალი საჭირო რამაა. როგორც კარტში, აქაც უნდა გაგიმართლოს, მაგრამ მეორეს მხრივ, შენც უნდა იშრომო და იღბალს უბიძგო, რომ შენსკენ გადმოიხაროს.

**— როგორ ფიქრობთ, ჯოკოვიჩთან ისეთივე ომი დაგეწყებათ, როგორიც ნადალთან გაქვთ?**

— შესაძლებელია. სიმართლე გითხრათ, ახალგაზრდების მხრიდან გამოწვევა ძალიან მსიამოვნებს. ახლა ჩემთვის ეს ალბათ უმთავრესი მოტივაციაა. მათი ფინალებში დამარცხება კი მართლაც მშვენიერი შეგრძნებაა. რაც შეეხება ჯოკოვიჩთან ჯახის დაწყებას, ეს თუ მოხდა, მართლაც კარგი იქნება. აქამდე ფინალებში ხშირად არ შევხვედრივართ, მხოლოდ მეოთხედფინალებში ან უფრო ადრეულ ეტაპებზე ვთამაშობდით ხოლმე, მაგრამ ბოლო ორი მატჩი ფინალში იყო, ეს კი ყოველთვის ხელს უწყობს ჯახის დაწყებას. თუმც დღეისთვის ნადალთან დაპირისპირება მაინც გაცილებით უფრო სერიოზულია.

**— როგორ ფიქრობთ, ნოვაკი საკმარისად ძლიერია, ამ დონეზე რომ დარჩეს?**

— უდავოდ, ის ძალიან ძლიერი მოთამაშეა და უკანასკნელ პერიოდში გასაოცარ პროგრესს მიაღწია. ისე, „როლან გაროსსა“ და უიმბლდონზე ნახევარფინალებში მე რომ შემხვედროდა, ჩვენი ომი ალბათ დაწყებულიც იქნებოდა, მაგრამ ის ორივეგან ნადალის მხარეს მოხვდა. მგონი, ამ ორს ომი უკვე დაწყებული აქვს.

**— ეს გამარჯვება ალბათ გარკვეულწილად უფრო მნიშვნელოვანია წინებზე, რადგანაც ბოლო სამ მატჩში საკმაოდ გაგიჭირდათ...**

— დიახ, მიუხედავად იმისა, რომ სეტი არც ერთში არ წამიგია, სამივე ძალიან დაძაბული და თანაბარი მატჩი იყო და თავისუფლად შეიძლებოდა, რომელიმეში დავმარცხებულიყავი. მაგრამ სხვებმა ვერ შეძლეს თავიანთი შანსების გამოყენება. თან შეხედეთ — გზად როდიკი, დავიდენკო და ჯოკოვიჩი დავამარცხე და ყველა სამ სეტში, რაც მართლაც მშვენიერი მიღწევაა. ლოპესთან და აისნერთან წვალების შემდეგ არ მოველოდი, ასე კარგად თუ ვითამაშებდი. ამით მართლაც შემიძლია, ვიამაყო.

**— ახალხან ტაიგერ ვუდსმა თითქმის წაგებული ტურნირი მოიგო, მაგრამ მაინც თქვენ გიწოდათ ყველაზე დომინანტური სპორტსმენი...**

— ეს მისი მხრიდან დიდი თავაზიანობა გახლდათ. მიყვარს მისგან კომპლიმენტების მოსმენა, ამას ჩემთვის მართლაც აქვს მნიშვნელობა. და ძალიან კარგია, რომ იგებს, რადგანაც ახლა ორივე რეკორდებს ვუმიზნებთ, ის ჯეკ ნიკლაუსის, მე კი — პიტ სამპრასის. მსიამოვნებს მე და ტაიგერს ერთმანეთს რომ გვადარებენ.

**— დღეს მე-12 სლემტურნირი მოიგეთ და ამით ბორგსა და ლეივერს გასცდით. ბევრს ფიქრობთ სამპრასის რეკორდზე (14 სლემტურნირი), ძალიან გინდათ მისი გამეორება და დამხობა?**

— სიმართლე გითხრათ, ბოლო დროს ამაზე სულ უფრო ხშირად ვფიქრობ. ადრე ამას რომ მეკითხებოდნენ, არ მსიამოვნებდა, რადგან ჩემთვის ზედმეტი ზეწოლა იყო. თუმც ახლა მგონია, რომ მართლაც შემიძლია პიტის მიღწევა გავიმეორო. და რომც არ გამომივიდეს, დასამწუხრებელი არაფერი მაქვს — ისედაც ბევრს მივაღწიე.

**— მაინც რამდენს მოიგებთ კარიერის ბოლომდე?**

— არ ვიცი, მართლა არ მაქვს წარმოდგენა. იმედია, პიტზე მეტს.

**— ახლა უკეთესი ჩოგბურთელი ხართ, ვიდრე თუნდაც ხუთი წლის წინ?**

— ჯოკოვიჩის ასაკში რომ ვიყავი, მე უფრო სხვნაირად ვთამაშობდი. ძლიერი მოწოდება და ბადესთან გასვლა — ვცდილობდი, ამ სტილში მეთამაშა, როგორც ამას ჩემი კერპები ედბერგი, ბეკერი და სამპრასი აკეთებდნენ. ისინი ასე თამაშს არჩევდნენ და მეც მათ ვბაძავდი. მაგრამ თანდათანობით მივხვდი, რომ ჩოგნების ახალ თაობასთან ერთად ჩოგბურთი შეიცვალა — ადვილი გახდა მიღებაზე თამაში, რაც შემტევ სტილს ვერ ესადაგებოდა. ამიტომაც მეც შევიცვალე, თუმც ახლაც ვცდილობ შემტევ სტილში თამაშს და ხშირად გამოვდის, თუმც უკანა ხაზზე კარგად ჩოგნაობაც აუცილებელია — ამის გარეშე დღეს წარმატებას ველარ მიაღწევ.

**— ჩოგბურთისა და გოლფის გარდა სხვა სპორტი თუ გაინტერესებთ? მაგალითად, ფეხბურთი — თან მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატს თქვენი სამშობლო მასპინძლობს.**

— რა თქმა უნდა, მე ფეხბრუთის დიდი გულშემატკივარი ვარ. ეს ჩემთვის ნომერ მეორე სპორტია და გოლფსაც მირჩევნია. ადრე მეც სიამოვნებით ვთამაშობდი ხოლმე ფეხბურთს და მინდა ვთქვა, რომ მშვენიერი შეგრძნებაა დანარჩენ ათ პარტნიორთან მოედანზე ყოფნა, მათთან ერთად მოგების სიხარულის გაზიარება. ძალიან მეამაყება, რომ შვეიცარია ჩემპიონატის მასპინძელი იქნება, რა თქმა უნდა, ავსტრიასთან ერთად. იმედი მაქვს, რამდენიმე მატჩს დავესწრები. ვფიქრობ, კარგი მასპინძლები აღმოვჩნდებით.

**— ჯოკოვიჩის პიროვნებაზე რას იტყვით?**

— ძალიან ახლოს არ ვიცნობ, რამე კონკრეტული რომ ვთქვა. ის ყოველთვის დიდი პატივისცემით მექცევა. გასახდელში წყნარია ხოლმე. გავიგე მისი ოხუნჯობის შესახებ — შარაპოვას და ნადალს რომ ბაძავდა. ძნელი სათქმელია, კარგი იყო თუ ცუდი. ვიტყოდი, რომ ამით ბეწვის ხიდზე დადის. ვიცი, რომ ეს ზოგ ჩოგბურთელს არ ესიამოვნა, თუმც ზოგი ამას სასაცილოდ ჩათვლის. მაგრამ თუ ფანებს მოსწონთ, ეს ჩოგბურთისთვის კარგი იქნება — ასეთი კოლორიტულ ხასიათს მრავალფეროვნების შეგრძნება შემოაქვს.

**— თქვენც ასე იქცეოდით 20 წლის ასაკში?**

— სახალხოდ უფრო წყნარი და თავშეკავებული ვიყავი, მაგრამ კულისებში მასზე მეტს ვგიჟობდი.

**— ახლახან ცნობილი გახდა, რომ მომავალი წლის დასაწყისში აშშ-ში პიტ სამპრასთან საჩვენებლ თამაშს გამართავთ.**

— წლეულს შანხაის მასტერსის თასის შემდეგ სეულში, კუალა ლუმპურში და მაკაოში სამ საჩვენებლ მატჩს ისედაც ვითამაშებთ. მხოლოდ შემდეგლა ამოტივტივდა, აშშ-ში კიდევ ერთი ასეთი შეხვედრა გაგვემართა და თუ გამოვიდა, მაშინ დაახლოებით 10 მარტისთვის „მედისონ სქვერ გარდენში“ შედგება.

**— ნოვაკი არ არის მზად პირველობისთვის, მაგრამ როგორ ფიქრობთ, შეუძლია ნადალს მეორე საფეხური წაართვას?**

— არ ვიცი. მგონი, რომ ნადალი ისევ ნომერ მეორე ჩოგანია, მაგრამ ნოვაკი მას უახლოვდება. მთავარია, წელს ვინ რომელ ადგილზე დაასრულებს. თუმც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მეორე თუ მესამე ადგილზე დაამთავრებენ სეზონს. პირველობაა ის ერთადერთი მიზანი, საითკენაც ყველა ისწრაფის.

# RUGBY WORLD CUP 2007

**საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი**

# არგენტინელები და ფრანგები ფოლადისგან ჩამოსხმულებზე

**არგენტინა — საქართველოს ჯახი არა მხოლოდ ქართველებისთვის იყო დამამახსოვრებელი. ფრანგული და არგენტინული გამოცემების გადახედვის შემდეგ იოლად შენიშნავთ, რომ მათზეც შთაბეჭდილების ღრმა კვალი დაამჩნია ამ უდაძაბულესმა შეხვედრამ და რა ღქმა უნდა ქართველთა თავგანწირულმა თამაშმა**

*ეს სტატია ფრანგულ გამოცემა **„მიდი ოლიმპიკში"** დაიწერა. ასე გამოეხმაურა ეს ავტორიტეტული გამოცემა არგენტინა — საქართველოს მატჩს.*

„არგენტინა — საქართველოს მატჩი ერთადერთი იყო მსოფლიოს თასის მეხუთე სათამაშო დღეს, თუმცა ძნელად, რომ წინასწარ პროგნოზირებად მატჩს ამდენი მაყურებელი შეეკრიბა. ლიონის „სტად ჟერლანზე" 42 ათასი ქომაგი მივიდა, სტადიონის პირთამდე შევსებას კი ორიოდ ასეული კაცი აკლდა. და ყველაზე მთავარი, არგენტინას დიდი-დიდი 15 ათასი ქომაგი ჰყოლოდა, იქ მსხდომ ათასამდე ქართველს კი ოცდაათი ათასი ფრანგი შეეშველა და ისინი მთელი მატჩი შეუსვენებლად ქომაგობდნენ ქართველ „ლელოებს". ეს გასაგებიცაა, ფრანგებს ხომ ჩვენი გასაჭირი გვაქვს. ჩვენთვის მთავარია, ირლანდიამ და არგენტინამ საქართველოსთან და ნამიბიასთან წაიფორხილონ და პრემიალური ქულები ვერ აიღონ. საქართველომ ვერ შეძლო და ვერ დააკარგვინა „პუმებს" ქულა, მაგრამ „ლელოებსაც" ნუ დავუკარგავთ თავდადებას და ჟინს. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ არგენტინასთან ღირსეულად ეთამაშათ. ქართველებს ეს გამოუვიდათ, მაგრამ პრემიალური ქულა მაინც აალებინეს არგენტინელებს. ყველაფრის მიუხედავად ღირდა ქართველების ქომაგობა. მათ დაამტკიცეს, რომ თანადგომის ღირსნი არიან, მადლობა საქართველოს დაფასებისთვის."

*მეორე პოპულარულ ფრანგულ გაზეთში **„ეკიპში"** კი შედარებით ცოტა, მაგრამ არანაკლებ საქებარი სიტყვები წერია:*

„საფრანგეთის ჩემპიონატში უამრავი არგენტინელი და ქართველი მორაგბე თამაშობს. თუმცა გუშინდელ მატჩში ფრანგები ერთმნიშვნელოვნად ქართველებს ქომაგობდნენ. ცნობილ მიზეზთა გამო ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ აქ მთავარი სულ სხვაა. ქართველებმა მადლობა ღირსეული თამაშიც გადაუხადეს."



AFP

*არგენტინული გამოცემის, **„კლარინის"** მატჩისშემდგომი მიმოხილვიდან:*

„პირველი წუთებიდანვე ნათელი გახდა, რომ ურთულესი და უმძიმესი მატჩი იქნებოდა. ჩვენებმა სცადეს შერკინებით მოეშთოთ ქართველები, მაგრამ მეტოქე იმაზე უფრო კერკეტი კაკალი გამოდგა, ვიდრე აქამდე გვეგონა. პირიქით, რამდენჯერმე აქეთ მოაწვნენ „პუმებს" და ერთხანს ძალიან ანერვიულეს ჩვენები. საბედნიეროდ, ბოლოსკენ ძალა აღარ ეყოთ და არგენტინამ ურთულეს მატჩში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა."

*არგენტინული **„ლა ნასიონი"** კი ამას წერს:*

„უნებურად საფრანგეთი — არგენტინის მატჩი გაგვახსენდა, ოღონდ ახლა არგენტინა საფრანგეთი იყო, არგენტინა კი — საქართველო. ეს შედარება იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ქართველები ძალიან ახლო იყვნენ სენსაციასთან. ამისთვის მათ ორმოცი წუთი დააკლდათ."

*მატჩის მიმოხილვის სათაურებში არგენტინელები თითქმის ყველგან ახსენებენ სიტყვას — „FUE DURISIMO", რაც ქართულად „ურთულესს, თითქმის შეუძლებელს ნიშნავს. ერთი სიტყვით, არგენტინული გამოცემები შეთანხმდნენ, რომ „პუმებმა" ურთულესი მატჩი მოიგეს, ანგარიშში სხვაობა სულაც არ ასახავს რეალობას.*

*კომენტარები არგენტინელმა მწვრთნელ-მორაგბეებმაც არიგეს. ჩვენ კი ყველაზე საგულისხმოები გადმოვაქართულეთ.*

**მარსელო ლოფრედა, არგენტინის ნაკრების მწვრთნელი:** „პირველი ტაიმი უმძიმესი გამოდგა. ჩვენ ვეთამაშებოდით გუნდს, რომელიც თითქოს ფოლადისგან იყო ჩამოსხმული. ქართველებს არანორმალური ჯანის პატრონი მოკრინალები ჰყავთ, მეტიც, უკანა ხაზშიც ისეთი მაღალი და ზორბა ბიჭები ეყენათ, ნებისმიერი სხვა ნაკრები მოკრინალად რომ ინატრებდა. რაც მთავარია, მეტოქემ ყველაზე მართებული ტაქტიკა შეარჩია, შერკინებით, ჯაჯგურ-ჯაჯგურ გვეთამაშნენ და სივრცე მოგვისპეს. მეორე ტაიმში კი ტაქტიკა შევცვალეთ, ხელდახელ ავთამაშდით, თანაც ქართველი მოკრინალები დაიღალნენ და ბოლოსკენ გაცუდდნენ. ვფიქრობ, ღირსეულად გავიმარჯვეთ, თანაც პრემიალური ქულაც ავიღეთ."

**მარიო ლედესმა:** „მთელი ტურნირი სწორედ ამ სტილში უნდა ვითამაშოთ. ტაქტიკა პირველივე ტაიმში რომ შეგვეცვალა, ამდენს არ ვიწვალებდით. თუმც უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველებმა თავი შეგვაკლეს, ამიტომაც ძლიერ მეტოქესთან მოგება ორმაგად სასიხარულოა."

**ლუკას ბორხესი:** „მსოფლიოს თასზე სუსტი გუნდი არ არსებობს, აქ ყველა მაქსიმალურად მომზადებული ჩამოვიდა. ამიტომაც ქართველთა გააფთრებული წინააღმდეგობა არ გამკვირვებია. მეტოქემ პირველი ტაიმი დიდებულად ითამაშა. თავს უშეცდომოდ იცავდა, მაგრამ მეორე ტაიმში შეცდომებს უმატა. პირველი ლელოს შემდეგ ქართველები შეტევაზე გადმოვიდნენ, დაცვის ხაზი გაშალეს, ამის გამოყენება შევძელით."

**ბაჩო სვანიძე**



AFP

## ილია ზედგინიძემ არგენტინა აღიარა
# საქართველოს ნამიბია შეუძლია

**ავტორიტეტული სარაგბო ვებ-გვერდი www.planetrugby.com საქართველო — არგენტინის მატჩს გამოეხმაურა და ჩვენი „ლელოების" ყოჩ ილია ზედგინიძეს ესაუბრა**

**ქართველთა** კაპიტანმა ილია ზედგინიძემ და მისმა თანაგუნდელებმა არგენტინასთან 3:33 წაგებულ მატჩში სული და გული ჩადეს. შედეგად პირველ ტაიმში ოდენ 3:6 დამარცხდნენ. მეტიც, ქართველებს ტაიმის ბოლოს ლელოს გატანა შეეძლოთ, მაგრამ შეტევა ელემენტარული შეცდომის გამო ჩაეშალათ.

„ჩვენ უკვე აღარ ვართ დებიუტანტები და წინა მსოფლიოს თასისგან განსხვავებით, ახლა ბევრად მეტი მოგვეთხოვება. ამიტომ პირველივე მატჩში საბრძოლო შემადგენლობით გავედით. გეთანხმებით, რომ პირველი ტაიმი მართლაც კარგად ვითამაშეთ და რეალურად მეორე ტაიმშიც უკეთ შეგვეძლო რაგბობა" — ამბობს ზედგინიძე.

და რატომ არ გამოუვიდა ეს საქართველოს? ზედგინიძეს ამაზეც აქვს პასუხი: „არგენტინა ძალიან მძიმე და სტაბილური გუნდია. მოლოდინისამებრ, ჩვენი თამაში ჩახურული გამოვიდა. ტაქტიკურად სწორედ ვითამაშეთ, მეტოქეს სივრცე არ დავუთმეთ. მეორე ტაიმში კი იძულებითი ცვლილებების გაკეთება მოგვიწია, თანაც ვაღიარებ, რომ ბოლოსკენ არგენტინამ ფიზიკური მომზადებით გვაჯობა და დამსახურებულად მოიგო."

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სიკვდილის ჯგუფში მოხვდა, შეუძლია, სამშობლოში თავაწეული და ისტორიული გამარჯვებით დაბრუნდეს, თუმც ჯობს, ისევ ილია ზედგინიძეს მოვუსმინოთ: „ჩვენი მთავარი გასაკეთებელი ნამიბიის დამარცხებაა. მათ წლეულს გაზაფხულზე მსოფლიოს ერთა თასზე უკვე მოვუგეთ, მაგრამ მას შემდეგ მაგრად მოუმატეს. ირლანდიასთან მათი თავდადებული და ტაქტიკურად გამართული თამაში ჩვენთვის უსიამოვნო სიურპრიზი იყო. ერთის მხრივ, ეს კარგია. მატჩი სანახაობრივიც იქნება, თანაც ძლიერი მეტოქის დამარცხება ორმაგად სასიხარულოა. მჯერა, რომ საქართველოს ეს შეუძლია."

# RUGBY WORLD CUP 2007

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი



AFP

## ბურჯი რომ გაიბზარება

### მალხაზ ჭეიშვილი:

## სენსაციის სუნი ჩვენც მოგვივიდა

**არგენტინასთან ნაომარი საქართველოს ნაკრები ხვალ ბორდოში ჩავა, ზეგ კი ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩი ელის, მიჯრით მეორე გრანდს ირლანდიას ერაგბება. იქამდე კი ჩვენი „ლელოები" ლიონში დარჩნენ და არგენტინასთან დაღლილ-ჩალურჯებულ კუნთებს ადუნებენ. გუშინ ლიონში დავუკავშირდით საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს მალხაზ ჭეიშვილს, რომელსაც ცხადია პირველად არგენტინასთან წაგებულ მატჩზე დავეკითხეთ...**

— წაგება ყოველთვის გულდასაწყვეტია, არ აქვს მნიშვნელობა წინასწარ ხარ შეგუებული თუ არა. ვისაც რაგბი ესმის, იმას არ სჭირდება ახსნა, რომ არგენტინასთან მოგება უდიდესი სენსაცია იქნებოდა, რაც რაგბიში მილიონში ერთხელ ხდება. რაც ვთქვი, ამის შემდეგ შეიძლება პარადოქსულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ პირველი ტაიმის შემხედვარე, მწვრთნელებსაც თავში სენსაციის ალბათობამ გაგვიელვა. სამწუხაროდ, პირველივე ტაიმში ტრავმა მიიღო შერკინების ბურჯმა დავით ზირაქაშვილმა. ტაქტიკა სწორედ შერკინებით თამაშზე გვქონდა აგებული. ზირაქაშვილის ტრავმამ გეგმები აგვირია, იგი ძალიან დიდი ძალაა და უიმისოდ სამწუხაროდ ჩვენმა შერკინებამ უკან დაიწია. არადა პირველ ტაიმში ჩვენი ჩანაფიქრი ამართლებდა, არგენტინას პრაქტიკულად უშეცდომო დაცვა და აგრესიული თამაში დავუპირისპირეთ, ბურთზე კონტროლი მოვუსპეთ და სივრცე შევუზღუდეთ. მეორე ტაიმში კი მოსახდენი მოხდა. მეტოქის მორკინალებმა აშკარად აჯობეს ჩვენებს. აუტებიც წავაგეთ, რომ ნახეს გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს, ხელდახელ შემოგვიტიეს.

**— შერკინების ბურჯი გოდერძი შველიძე გვიან ჩართეთ თამაშში...**

— შველიძე დიდი ძალაა, მაგრამ ის ჰუკერად გვყავდა შემონახული. ასეთ ჯახში ტრავმიანობა და დაღლა ჩვეულებრივი ამბავია. აქვსენტი გიორგაძეს შეცვლა რომ დასჭირვებოდა შველიძე საამისოდ ზედგამოჭრილი კანდიდატურა იყო. ამიტომაც „ვინახავდით" მას კონკრეტულ მომენტამდე, მაგრამ მერე მეორე ბურჯი დავით ხინჩაგაშვილიც შესაცვლელი გახდა და შველიძე მაინც დაუგეგმავად შევუშვით მოედანზე. ერთი სიტყვით გული მარცხზე კი მწყდება, მაგრამ უფრო მეტად იმაზე ვბრაზობ, რომ მეორე ტაიმშიც ბევრად უკეთ შეგვეძლო თამაში. თუმც ბიჭებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, მათ რაც შეეძლოთ მოედანზე თავი დადეს.

**— ზირაქაშვილის ამბავი როგორაა?**

— იგი ახლა წაიყვანეს საავადმყოფოში რენტგენის გადასაღებად. ჩვენი ექიმები ნეკნების გაბზარვას ეჭვობენ, ვნახოთ რა და როგორ იქნება, ერთი კი ცხადია რაც უნდა იყოს ზირაქაშვილი ირლანდიასთან მატჩს ალბათ გამოტოვებს.

**— ოთხ დღეში მეორე მატჩი გიწევთ, თან ირლანდიასთან. ალბათ შემადგენლობაში ცვლილებებსაც მოახდენთ...**

— ცვლილებები აუცილებლად იქნება, რამდენიმე მორაგბეს მიკრო ტრავმა აქვს. ზოგს დასვენება სჭირდება, ოღონდ ზუსტად ჯერ არ ვიცით რა შემადგენლობით ვითამაშებთ ირლანდიასთან. ერთი კი ცხადია, არგენტინის არ იყოს, არც ირლანდიელებს დავუთმობთ რაიმეს და შეიძლება უარეს დღეშიც ჩავაგდოთ.

**ბაჩო სვანიძე**

## მაკა, ვაკა, ვაკი

### ამ ხალხმა აშშ დაატერორა

**აშშ-ს ნაკრებმა** ინგლისთან ღირსეული ჯახის შემდეგ სარაგბო ტრადიციებით მდიდარ ტონგასთანაც დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის და ყოჩაღ სარაგბო ნაკრებებთან ტოლსწორად რაგბობა შეუძლია.

მატჩი „იანკებისთვის" ფატალურად დაიწყო. პირველივე შეტევა ტონგელთა თმაგაწეწილმა რვა ნომერმა მაკამ ლელოთი დაასრულა და ამით თითქოს აშშ-ს ნაკრების განადგურებას დაუდო დასაბამი. პირველი 25 წუთის განმავლობაში ამერიკელები პოლინეზიელების მოძალებულ შეტევებს რის ვაივაგლახით უმკლავდებოდნენ, მაგრამ ანგარიში ისეთი საგანგაშო არ გახლდათ, რის ალბათობასაც ტონგელთა სწრაფი ლელო და მატჩის წინ გაცემული ავანსები იძლეოდა. პირველი ტაიმის ნახევრისთვის მხოლოდ და მხოლოდ 13:0-ს იგებდნენ კუნძულელები და ამ მომენტისვის „იანკები" უკვე ხშირ-ხშირად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე, რასაც ორმოციოდე მეტრიდან გატანილი საჯარიმოც მოაყოლეს.

| | | |
|---|---|---|
| | **12 სექტემბერი. მონპელიე**<br>**ტონგა 25:15 აშშ** | |

ტონგა: ლილო, ტუიფუა, ჰუფანგა, ტაიონე, ვაკა; ჰოლა, ჰავეა; მაკა, ლატუ (კაპ), პოლე, ჰეჰეა, ფაასოო, პულუ, ლუტუი, ტონგაუიჰა

სათადარიგოები: ტაუკაფა, ტოკე, ვაკი, ფილიპინე, ტუიპოლოტუ, ტაპუო, ჰავილი

3 ლ: მაკა, ვაკა, ვაკი; 2 გ: ჰოლა; 2 ს: ჰოლა

აშშ: უაილზი, სიკა, ემერიკი, ესიკია, ნგვენია; ჰერკუსი (კაპ), ერსკინი; ბლუმფილდი, ქლევერი, სტენფილი, მანგანი, პარკერი, ოსენტოვსკი, ლენცი, მაკდონალდი

სათადარიგოები: ბურდეტი, მოეაკიოლა, მიქსტედი, ბასაური, პეტრი, მალიფა, ტუიპოლოტუ

2 ლ: მაკდონალდი, სტენფილი; 1 გ: ჰერკუსი; 1 ს: ჰერკუსი

ამერიკელებმა ტაიმის დარჩენილი დრო შეტევებში და ხელდახელ თამაშში გალიეს. რამდენჯერმე მეტოქის დალელოებამდე სანტიმეტრები დააკლდათ, მაგრამ კუნძულელების თავგანწირვას იღბალიც წაეხმარა და ჩრდილოელებმა ქულათა მარაგს ვეღარაფერი მოუმატეს.

მეორე ნახევარი პირველის მსგავსად დაიწყო, ანუ ტონგელთა ფეხცქვიტი გარემარბ-ნახევარმცველები გავეშებით ეძალებოდნენ მოწინააღმდეგის ლელოს მისადგომებს, მაგრამ თავადვე დალელოვდნენ და ანგარიშში სხვაობა 13:8-მდე შემცირდა. ამერიკელების ტერიტორიული და ბურთის ფლობის უპირატესობა მეორე ტაიმის განმავლობაშიც აშკარა იყო, მაგრამ ტონგელთა სათამაშო კლასმა მაინც თავისი გაიტანა. მართალია, აშშ-ს ნაკრების მორკინალებმა ტაიმის შუაში ლელო გამოიმუშავეს, მაგრამ შეტევაში გართულებას კონტრშეტევები გამოეპარათ. მათ ძალისმიერ თამაშს ჯერ ვაკამ, ხოლო შემდეგ უკვე ვაკიმ ლელოებით უპასუხეს და საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს — 25:15.

**ზურაბ მიგრიაული**



AFP

## ირლანდიამ საქართველოს დაასწრო

**ირბ** ყველა ნაკრების თავკაცს თამაშამდე 48 საათით ადრე ავალდებულებს ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობის გამოქვეყნებას. ეს კანონი, რაღა თქმა უნდა, მსოფლიოს თასზეც მოქმედებს, ოღონდ ირლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა ედი ოსალივანმა, როგორც ჩანს, ქართველებში დიდი საფრთხე ვერ დაინახა და მათთან შეხვედრამდე 72 საათით ადრე გამოამზეურა თავისი საბრძოლო 15-ეული.

11 სექტემბერს არგენტინასთან 30-ქულიანი, მაგრამ მაინც ღირსეული მარცხის შემდეგ ქართველი „ლელოები" ირლანდიას ხვდებიან. მატჩი 15 სექტემბერს ქალაქ ბორდოში გაიმართება, ოსალივანმა კი მათთან შესარკენი შეგირდების სია 12 სექტემბერს ჩამოწერა. ისიც სათქმელია, რომ მას დიდად არ უჭყლეტია ტვინი, აილო და წინა, ნამიბიასთან შეხვედრაში ნათამაშები ბიჭები შეამზადა ჩვენთვის. ძირითად 15 და სათადარიგო 7 კაცში მხოლოდ ერთადერთი ცვლილება შეიტანა — ტრავმისგან მოკეთებული ძირითადი გარემარბი შეინ ჰორგანი გააშწესა ნამიბიასთან გრძელ ფრთაზე ნაუცბათევად დაყენებული ენდრიუ ტრიმბლის ნაცვლად.

ესეც სათქმელია, რომ ეს შემადგენლობა საბრძოლოა და ირლანდიას უკეთესი გუნდი არც ჰყავს.

### ირლანდია საქართველოსთან

15 გირვან დემფსი, 14 შეინ ჰორგანი, 13 ბრაიან ოდრისკოლი (კაპ), 12 გორდონი დარსი, 11 დენის ჰიკი; 10 რონან ოგარა, 9 პიტერ სტრიგერი; 8 დენის ლემი, 7 დევიდ ვოლესი, 6 საიმონ ისტერბი, 5 პოლ ოკონელი, 4 დონჩა ოკალაჰანი, 3 ჯონ ჰეიესი, 2 რორი ბესტი, 1 მარკუს ჰორანი

სათადარიგოები: 16 ჯერი ფლანერი, 17 საიმონ ბესტი, 18 მალკოლმ ოკელი, 19 ნილ ბესტი, 20 აიზეკ ბოსი, 21 პადი ვოლესი, 22 გორდან მერფი

12 სექტემბერი. მონპელიე

**იაპონია 31:35 ფიჯი**

12 სექტემბერი. მარსელი

**იტალია 24:18 რუმინეთი**

# ტაირონ ელისი: ნაკრებს ყველამ რაღაცა დავაკელით

## საქართველოს ერთგული ამერიკელი თამაშზე, ვერთამაშზე და ცოტ-ცოტა ყველაფერზე



**ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი ტაირონ ელისი გასულ საკვალიფიკაციო მატჩებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მას არც მონდომება აკლდა და ისეთი მოტივაციით თამაშობდა, ვერ იტყოდით, ბოლომდე არ იხარჯებაო. საქართველომ ჯგუფური ეტაპი რომ დაასრულა, ელისი ახალმოყვანილ ცოლთან კი არ წავიდა, თბილისში დარჩა და შვეიცარია — რუმინეთის შედეგს ელოდებოდა, ვინიცობაა, ჯგუფიდან გავიდეთო. სამწუხაროდ, რუმინეთი დამარცხდა და საქართველოც ჯგუფში ჩარჩა. ელისის ეს ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა**

**— რუმინეთმა წააგო, რითაც საბოლოოდ შეგვიძლია საქართველოს ნაკრების საამციკლო გამოსვლის შეჯამება. თქვენი აზრით, რატომ ვერ გავედრით A დივიზიონში?**

— ამ თუ იმ გუნდის წარუმატებელ გამოსვლას, ისევე როგორც ნებისმიერ ტრიუმფს, ყოველთვის აქვს ახსნა. ვეცდები, არაფერი გამომრჩეს. დავიწყოთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობით. დამეთანხმებით, რომ ამ მხრივ, არათუ ისლანდიასა და ავსტრიას, მგონი, ფინეთსაც ვჯობნით. გვყავს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი ზაზა ფაჩულიას სახით, რომელსაც თავისუფლად შეუძლია მალე ამერიკაშიც გამორჩეული გახდეს. ვლადიმერ ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი, ნიკა ცქიტიშვილი და სხვებიც — ამ ნაკრებს ქვედა დივიზიონში არაფერი ესაქმება. შეხედეთ ფინეთს. თუ არ ვცდები, გუნდს მხოლოდ 4 ლეგიონერი ჰყავს, მაგრამ ჩვენ მათთან მატჩებში მაინც სერიოზული პრობლემები გვექმნება. ესე იგი, კონკრეტულ შეხვედრაში ნაკრების წევრებმა გუნდს რაღაცა დავაკელით, ყველამ ბოლომდე ვერ გამოამჟღავნა თავისი შესაძლებლობები, გარკვეულწილად არც გაგვიმართლა. ის, რაც ისლანდიაში მოხდა, ძალიან იშვიათია, თუმცა მაინც მგონია, რომ იმ ბოლო შეტევამდე საქმე არ უნდა მიგვეყვანა. ყველამ ვიცოდით, რომ ისლანდია საკუთარ მოედანზე არაჩვეულებრივი მოტივაციით თამაშობს და მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაკრებს A დივიზიონში გადასვლის არანაირი შანსი არ ჰქონდა, ურთულესი თამაშისთვის ვემზადებოდით. ამას კენ შილდსიც მუდმივად გვახსენებდა, თან გვეუბნებოდა, ისლანდია უბრძოლველად არაფერს დაგვითმობსო. უშუალოდ თამაში კი თქვენც ნახეთ და ალბათ, გარკვეულ დასკვნებს დამოიტანდით.

**— ისლანდიასთან საკუთარ თამაშზე რას იტყვით?**

— 10-ბალიანი შკალით 6 ქულას დავუწერ საკუთარ თავს. უფრო აქტიური უნდა ვყოფილიყავი და ალბათ, რამდენიმე ეპიზოდში პასი არ უნდა გამეკეთებინა და უნდა მესროლა. სხვას ვერაფერს გეტყვით.

**— საკვალიფიკაციო შეხვედრამდე საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი ციკლი გაიარა, სადაც A დივიზიონში გადასვლის ერთ-ერთ ფავორიტს, ინგლისის ნაკრებსაც შეხვდა.**

— ინგლისს პირველი მატჩი მოვუგეთ და უნდა გენახათ, როგორ ეთამაშა ლუოლ დენგს მარკოიშვილი. არაჩვეულებრივად! ნუ დაგავიწყდებათ, ჩვენ ხომ „ჩიკაგო ბულზის“ ერთ-ერთ ლიდერზე ვსაუბრობთ, რომელიც ნელ-ნელა მსოფლიო დონის ვარსკვლავად ჩამოყალიბდა. მეორე მატჩის პირველ ნახევარში კი საქართველოს ნაკრებმა ჩემი აზრით, თავისი საუკეთესო სათამაშო მონაკვეთი ჩაატარა. 10 ქულას ვიგებდით და ყველაფერი გამოგვდიოდა, თუმცა მერე და მერე შეცდომებს ვუმატეთ, ინგლისმა კი მესამე მეოთხედის დასაწყისში ზედიზედ რამდენიმე სამიანიც ჩააგდო. საბოლოო ჯამში, ერთი შეხვედრა მოვიგეთ, მეორე კი დავთმეთ. ინგლისი და საქართველო დაახლოებით ერთი დონის გუნდები არიან და საწყენია, რომ ინგლისი ალბათ A დივიზიონში გადავა, ჩვენ კი კიდევ ერთი საკვალიფიკაციო ტურნირის ჩატარება მოგვიწევს.

**— ინგლისი უფრო ძლიერია თუ ფინეთი?**

— ინგლისიც, ფინეთიცა და საქართველოც დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები არიან. ინგლისს ჰყავს დენგი და ბეტსი, ჩვენ ფაჩულია, მანუ და ბოისა, ხოლო ფინეთს კი ასევე ორი ვარსკვლავის, მოტოლასა და რანიკოს იმედი აქვს.

**— უშუალოდ შეკრებაზე რას იტყვით?**

— ნორმალური, მუშა შეკრება გავიარეთ. ზოგს არ მოსწონდა, რომ ოთახებში არ იყო ტელევიზორი, მაგრამ იყო ინტერნეტი და თუ რაიმეს გაგება ან ნახვა გსურდა, ამის გაკეთება ინტერნეტითაც შეგეძლო. ეს იყო ნაკრების შეკრება და არა დისნეი ლენდში ექსკურსია. ასე რომ, ყველაფერი ნორმალურად იყო. ერთადერთი, რამაც დაგვღალა, ისლანდიაში მგზავრობა იყო, მაგრამ სხვა მარშრუტი არ არსებობდა და ვერაფერს შევცვლიდით.

**— მოდით, თქვენი თანაამპლუელები, გიორგი გამყრელიძე და გიორგი ცინცაძე დაახასიათეთ...**

— ერთმაც და მეორემაც საკმაოდ მოუმატა, თუმცა, მაინც მგონია, რომ ცინცაძე უფრო მსროლელია, ვიდრე გამთამაშებელი. გამყრელიძე კი ძალიან სწრაფია, სროლაც უწინდელზე უკეთესი აქვს და მჯერა, რომ სულ მალე იგი რომელიმე ძლიერ ევროპულ ლიგაში გადავა.

**— დარწმუნებული ვარ, აქ ჩამოსვლამდე ნამდვილად დაფიქრდებოდით, თუ როგორ მიგიღებდათ ქართველ გულშემატკივართა წრე?**

— თავისთავად, ეს ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ნამდვილად არ მსურდა, საქართველოს წინაშე მხოლოდ მოთამაშის ვალდებულებების შესრულება. თქვენი მენტალიტეტის გაგება, საქართველოს ისტორიული ადგილების მონახულება — ეს ნაწილობრივ გავაკეთე, თუმცა გული მწყდება, რომ ბოლომდე ვერ მოვახერხე იმ ყველაფრის გაკეთება, რაც ჩემს დიდ დავთარში ეწერა.

**— პიცერიის ამბავი გავიგეთ...**

— ნასიამოვნები და სიმართლე გითხრათ, გაკვირვებულიც კი დავრჩი. აუცილებლად გადავცემ იმ პიცერიის მფლობელს ჩემს მაისურს. იმედი მაქვს, იქვე დაკიდებს. პიცაც გემრიელი იყო და არაჩვეულებრივი ქართული ღვინოც მივირთვი.

**— ღვინოც?**

— ერთი ჭიქა. რეჟიმი არასოდეს დამირღვევია და არც ვაპირებ ამის გაკეთებას.

**— ქართულ კერძებს თუ შეეჩვიეთ?**

— გემრიელი კერძები გაქვთ, მაგრამ რამდენჯერმე მომიწია ქართულ რესტორანში შესვლა და სიმართლე გითხრათ, რომ მითხრეს, შეუკვეთეო, მენიუში ვერანაირად ვერ გავერკვიე. რაც მოიტანეს, ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ დამეთანხმეთ, სჯობს იცოდე, თუ რის ჭამას აპირებ, არა?

**— კარიერას „კახა სან ფერნანდოში“ აგრძელებთ. ესპანეთში თამაში თქვენი სურვილი იყო?**

— დიახ. „ნაპოლიმ“ კონტრაქტის გახანგრძლივება კი შემომთავაზა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ესპანური ვარიანტი ვარჩიე. „კახა სან ფერნანდო“ ძლიერი, ამბიციური გუნდია და მჯერა, რომ დამდეგ სეზონში როგორც ჩემი, ასევე უშუალოდ გუნდის საქმეები კარგად წავა.

**— სხვა ვარიანტები თუ გქონდათ?**

— კი, თანაც ბევრი. ერთ-ერთი პირველი, ვინც ხელშეკრულების გაფორმება შემომთავაზა, „სპარტაკ-პრიმორიე“ იყო. ცუდია, რომ ის ვარიანტი ჩაიშალა, თორემ ახლა ბოისასთან ერთად ვითამაშებდი. ჩემს აგენტს ასევე „ოლიმპიაკოსისა“ და „რომას“ წარმომადგენლებიც დაუკავშირდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ესპანეთში გადასვლა ვამჯობინე.

**— საქართველოს ნაკრებთან კიდევ ორწლიანი ვალდებულება გაქვთ?**

— დიახ, კიდევ ორი წელი თქვენთან ვიქნები. მერწმუნეთ, საქართველოში ვალის მოხდის მიზნით არ ჩამოვსულვარ. მე ვაფასებ ჩემდამი ყურადღებას, პატივისცემას და მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს ერთგული ვარ. მოედანზე ყოველთვის ლტოლვითა და უდიდესი ენერგიით გავდივარ და მჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს უმაღლეს დივიზიონში გადასვლაში დავეხმარები. მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო საქართველოს კალათბურთის ფედერაციას მხარდაჭერისთვის, ჩემს თანაგუნდელებს ყურადღებისთვის და მთლიანად საქართველოს, რომელმაც ტაირონ ელისი თბილად მიიღო. ყოველთვის თქვენს გვერდით მიგულეთ.



# ახალი თავი ქართულ ხელბურთში



თამაზ თევზაძე

**გუშინ** საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში ხელბურთის ეროვნული ასოციაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართა.

შეგახსენებთ, რიგგარეშე იმად, რომ ასოციაციის პრეზიდენტმა მამუკა სხიერელმა პირადი პრობლემების გამო ერთი თვის წინ, ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე თანამდებობა დატოვა და ბუნებრივია, ვადამდელობაც ამან გამოიწვია.

პრეზიდენტობის მსურველნი სამნი იყვნენ — საქართველოში ხელბურთის პიონერები და უდიდესი დამსახურების მქონენი, ჯემალ ცერცვაძე და ჯანო ბაგრატიონი და მათზე თითქმის 15 წლით უმცროსი თამაზ თევზაძე — ჩვენი ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მრჩეველი, ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატი.

ყრილობაში მონაწილეობისთვის 151 დელეგატი დარეგისტრირდა, რეალურად კი გუშინ მხოლოდ 116 გამოცხადდა, თუმც ყრილობის უფლებამოსილებისთვის ეს რაოდენობა საკმარისზე მეტიც იყო და ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ მეტრეველმა შეხვედრა გახსნილად გამოაცხადა.

ჯერ წუთიერი დუმილით პატივი სცეს საანგარიშო პერიოდისას გარდაცვლილი წევრების — ალიკო კიკაბიძის, თემურ ზარდალიშვილის, დავით რუხაძის ხსოვნას.

შემდეგ ხელბურთელთა ახალი პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. ისე, საარჩევნოც აღარ ყოფილა, რადგან ჯანო ბაგრატიონმა და ჯემალ ცერცვაძემ მიზეზთა გამო თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს. ასე რომ, უალტერნატივოდ დარჩენილმა თამაზ თევზაძემ მინიმუმ ერთი წლით პრეზიდენტობა გაინაღდა.

ცხადია, ფორმალობად ქცეული კენჭისყრა მაინც ჩატარდა და 57 წლის თამაზ თევზაძე ხვალიდან საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შესრულებას შეუდგება. ფედერაციის და არა როგორც აქამდე იყო, ასოციაციისა, რადგან სწორედ გუშინ დადგინდა ფედერაციის სახელი.

თამაზ თევზაძეს ბავშვობაში ჭადრაკი და ფეხბურთი უფრო მოსწონდა, მერე კი, 1968 წელს ხელბურთსაც გაუგო გემო, თავიდანვე კარში ჩადგა და ბოლომდე გოლკიპერობის ერთგული დარჩა.

ბატონი თამაზი თავისი საპრეზიდენტო საქმიანობის უმთავრეს ამოცანად თვლის საქართველოში ბავშვთა ხელბურთის აღმავლობას, ქვეყნის პერიფერიებში თანამედროვე ტიპის ბაზების გახსნას და ეროვნული ნაკრებისთვის საერთაშორისო სარბიელზე წარმატებული გამოსვლისთვის პირობების შექმნას.

ბოლოს კი ფედერაციის აღმასკომის ახალი წევრების შესახებ. თევზაძის გაპრეზიდენტების გამო მის გამონთავისუფლებულ სავიცეო ადგილზე დაამტკიცეს ვეტერანი ხელბურთელი, 38 წლის ბიძინა მინდელი, „სტუ-შევარდენის“ შემადგენლობაში საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი.

აგრეთვე აღმასკომის წევრად მიიღეს საქართველოს ჩემპიონატების საშეჯიბრო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ბერიაშვილი.

**გია ახალაძე**

# ევროპის ჩემპიონატი

ესპანეთი. 3-16 სექტემბერი. მეორე ჯგუფური ეტაპი

მეორე ჯგუფური ეტაპი. E ჯგუფი



ხორხე გარბახოსას ესპანეთი მეოთხედფინალშია

## ეს ესპანეთი რა ყოფილა!

**ხორვატია 70:83 რუსეთი**
**21:19 21:22 14:19 14:23**
**ხორვატია:** კუში (17), როზიჩი (11)
**რუსეთი:** კირილენკო (20), პაშუტინი (14)

**საბერძნეთი 85:67 პორტუგალია**
**16:17 29:17 19:13 21:20**
**საბერძნეთი:** დიკუდისი (17), დიამანტიდისი (13)
**პორტუგალია:** სანტოსი (17), კუნია (10)

**ესპანეთი 99:73 ისრაელი**
**19:29 28:19 27:20 25:5**
**ესპანეთი:** პ. გასოლი (26), კალდერონი (15), მუმბრუ (12)
**ისრაელი:** ელიაჰი (15), ტაპირო (15), ნაორი (15)

**E ჯგუფს** მთავარ ინტრიგად ბოლო ორი მეოთხედფინალისტის გარკვევა შერჩა. მას შემდეგ, რაც ბოლო ტურის პირველ მატჩში ხორვატია რუსეთთან დამარცხდა, ისრაელს ჯგუფიდან გასვლის შანსი გაუჩნდა. ებრაელები ურთულესი ამოცანის წინაშე იდგნენ — მასპინძელი ესპანეთი უნდა დაემარცხებინათ.

მერე რა, რომ მასპინძლებს განაღდებული ჰქონდათ პლეი ოფის საგზური. ესპანელებს პირველი ადგილისთვის სჭირდებოდათ ისრაელის დამარცხება და ამ მხრივ იყვნენ მოტივირებულები.

ისრაელი რომ აქამდე მოვიდა, ესიც დიდი მოულოდნელობაა და ჯგუფიდან თუ გავიდოდა, სენსაცია მაშინ უნდა გენახათ. არადა, ებრაელებმა არნახულად მოინდომეს და მთელი სამი მეოთხედი ტოლ-სწორად ეომნენ მსოფლიოს ჩემპიონებს.

ის კი არა, ისრაელმა პირველი მეოთხედი 10 ქულით მოიგო და დიდი შესვენებისთვისაც ლიდერობდა. ლიორ ელიაჰმა და მეირ ტაპირომ საწყისი მეოთხედის ბოლო 25 წამში თითო სამქულიანი ჩააგდეს და ესპანელები შეაშფოთეს.

მასპინძლები მეორე მეოთხედიდან ამოქმედნენ. დიდებულად ითამაშა პაუ გასოლი, ვინაც სულ რაღაც 18 წუთში 26 ქულა და 7 მოხსნა ჩაუთვალა ესპანელებს.

მეორე ტაიმში ებრაელები აშკარად დაიღალნენ და მესამე მეოთხედის ბოლოს დანებდნენ. გადამწყვეტი ათწუთეულის წინ ესპანეთი მხოლოდ 6 ქულას იგებდა, თუმცა არაქათგამოცლილმა სტუმრებმა ბოლო მეოთხედში 5 ქულაზე მეტის შეკოწიწება ვერ მოახერხეს და დიდი სხვაობით დამარცხდნენ.

„ჩვენ დიდებულად დავიწყეთ თამაში — თქვა ებრაელთა ფორვარდმა იდო კოზიკარომ — ესპანეთი ტურნირზე ყველაზე ძლიერია და ჩვენ 25 წუთის მანძილზე ვუძალიანდებოდით. საბოლოოდ კი დავმარცხდით და პლეი ოფში ვერ გავედით, მაგრამ ჩემპიონატს ამაყად ვტოვებთ. ესპანეთიდან ბევრი სასიხარულო წუთი მიგვყვება. სერბეთის და ხორვატიის დამარცხებამ ჩვენი გუნდი ევროპის საკალათბურთო ელიტაში დააბრუნა."

ამ ჯგუფის ბოლო მეოთხედფინალისტი პორტუგალია — საბერძნეთის ჯახში გამოვლინდა. ვინც გაიმარჯვებდა, პლეი ოფშიც ის გადიოდა.

პოტრუგალიამ ყველას პატივისცემა დაიმსახურა, სრულიად უცნობი და გამოუცდელი მოთამაშეებით მეოთხედფინალის ზღურბლამდე რომ მივიდა. ახლაც ეცადნენ ლუზიტანიელები სასწაულის მოხდენას, მაგრამ ევროპის მოქმედი ჩემპიონის დასამარცხებლად ძალები არ გასწვდათ.

„პორტუგალიელები კარგ კალათბურთს თამაშობენ — მეტოქე შეაქო ბერძენთა თავკაცმა, პანაგიოტის იანაკისმა — ისინი ბურთს სწრაფად ათამაშებდნენ და სივრცეებს იყენებდნენ. ეს გუნდი შრომისა და განვითარების კარგი მაგალითია. რამდენიმე წლის წინ არავინ იცნობდა პორტუგალიურ კალათბურთს. ახლა კი ამ გუნდს დიდი პროგრესი და წარმატებები აქვს. დარწუნებული ვარ, ისინი წლიდან წლამდე მოუმატებენ."

პორტუგალიამ მხოლოდ პირველი მეოთხედი მოუგო ბერძნებს, ისიც ქულით, თუმც მეტისთვის ძალები აღარ ეყო. ევროპის ჩემპიონები თანდათან მოდიან თამაშის იშტაზე და გამოუცდელი პორტუგალია მათთვის ბარიერად ვერ გამოდგა.

ასე და ამგვარად, E ჯგუფის 4 საუკეთესო ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს. ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი და ხორვატია სამეოთხედფინალო მეტოქეებს ელოდებიან.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 4 | 1 | 422:341 | 9 |
| რუსეთი | 5 | 4 | 1 | 381:325 | 9 |
| საბერძნეთი | 5 | 3 | 2 | 353:348 | 8 |
| ხორვატია | 5 | 2 | 3 | 398:396 | 7 |
| პორტუგალია | 5 | 1 | 4 | 350:420 | 6 |
| ისრაელი | 5 | 1 | 4 | 360:434 | 6 |

**F ჯგუფი**

**გერმანია 67:58 იტალია**
**საფრანგეთი 85:64 თურქეთი**
**სლოვენია 61:80 ლიტვა**



# მსოფლიოს ჩემპიონატი

რიო დე ჟანეირო. ბრაზილია. 13-16 სექტემბერი. მეორე ჯგუფური ეტაპი

## მოვიწყოთ ოქროს პრეზენტაცია

**დღეს** რიო დე ჟანეიროში ძიუდოს ოთხდღიანი ზეიმი იწყება — ბრაზილია მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატს მასპინძლობს. ტატამზე, რა თქმა უნდა, ყველა უძლიერესი კიმონოსანი გავა და კვირა ღამეს რვავე წონით კატეგორიას ჩემპიონ-პრიზიორები ეყოლება. ისენი მედლებთან ერთად, პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებსაც მიიღებენ.

სპეციალისტები ფავორიტებზე საუბარს რამდენიმე ქვეყნის ნაკრებით იწყებენ და მათ შორის საქართველოს ხსენებაც არ ავიწყდებათ. შოთა ხაბარელის ბრაზილიური რვეული ამ ტურნირზე დიდი გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ევროშედეგების გათვალისწინებით, მედლებისთვის ბრძოლა რვავე ჩვენებურს რეალურად შეუძლია. აპრილში ბელგრადში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ხომ საქართველოს ნაკრებმა ხუთი მედალი მოიპოვა. ეს ხუთეული ახლაც შემადგენლობაშია — ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი (66 კგ), ვერცხლის მედალოსნები დავით ქევხიშვილი (73 კგ), ირაკლი ცირეკიძე (90 კგ), ლაშა გუჯეჯიანი (+100 კგ) და ბრინჯაოსანი ნესტორ ხერგიანი (60 კგ). ასევე გუნდში არიან მეხუთე და მეშვიდე ადგილზე გასულები — ლევან ჟორჟოლიანი (100 კგ) და გიორგი ბაინდურაშვილი (81 კგ).



ლაშა გუჯეჯიანი

ევროშვიდეულს რიოში აბსოლუტურ წონაში მოჭიდავე ზვიად ხანჯალიაშვილიც დაემატება. ამათგან წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ სამს აქვს ნაჭიდავები. ხერგიანი და ქევხიშვილი საპრიზოს ვერ შესწვდნენ. გუჯეჯიანი კი მესამეზე გავიდა და მისი ბრინჯაო ზაბარელის გუნდისთვის ერთადერთი მედალი აღმოჩნდა. მაშინ საქართველომ გუნდურ ჩათვლაში მეღე ადგილი დაიკავა.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ მსოფლიოს მწვერვალზე არც ერთი ქართველი ძიუდოისტი არ ასულა. მიზანთან ყველაზე ახლოს ზურაბ ზვიადაური იყო, თან ორჯერ, მაგრამ 2001 და 2003 წლებში ფინალში დამარცხდა.

ოთხდღიან ჩემპიონატს +100 და 100 კილოგრამიანები გახსნიან. გუჯეჯიანი და ჟორჟოლიანი წინასწარ შეხვედრებს ბრაზილიის დროით დილის ათ საათზე, ჩვენებურად კი საღამოს ხუთზე დაიწყებენ. ხვალ ცირეკიძე და ბაინდურაშვილი იჭიდავებენ, ზეგ — ქევხიშვილი და კედელაშვილი, მაზეგ კი — ხერგიანი და ხანჯალიაშვილი.

**ოთარ ჩალაძელიძე**

## მსოფლიო ევროპელს, ევროპა — რუსს

**რიო დე ჟანეირო** ძიუდოს მოყვარულთა ყურადღების ცენტრში მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრეც მოექცა. საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე ისეთი რამ მოხდა, ვერავინ რომ ვერ იფიქრებდა. აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა მოქმედ პრეზიდენტს, კორეელ სუნ პარკს უფლებამოსილება შეუწყვიტეს და უმალ ვადამდელი არჩევნით ჩაატარეს. ფარული კენჭისყრით პარკის თანამდებობა ევროფედერაციის ავსტრიელმა პრეზიდენტმა მარიუს ვიზერმა დაიკავა. იგი მსოფლიო ძიუდოს სათავეში ექვსი წელი იქნება. ევროპული ძიუდოს პირველკაცის გამოთავისუფლებული სავარძელიც მალევე შეივსო. გუშინწინ გამართულ საგანგებო სხდომაზე ვიზერის მემკვიდრედ მისი ყოფილი მოადგილე, რუსი სერგეი სოლოვეიჩიკი დაასახელეს.



მარიუს ვიზერი

**ოთარ ჩალაძელიძე**



# ბორჯომის თასი

თბილისი. 10-16 სექტემბერი. საპრიზო 10 000 $

## ორი სეტის წრე



ელიზავეტა ტოჩილოვსკაია

**მეორე წრე**

| | |
|---|---|
| სოფო შაფათავა (2, საქართველო) — სალომე ჩაჩხუნაშვილი (საქართველო) | 6:4 6:3 |
| მანანა შაფაქიძე (5, საქართველო) — იულია კირიენკო (უკრაინა) | 6:1 6:2 |
| თათია მიქაძე (საქართველო) — აუგუსტა ციბიჩევა (3, რუსეთი) | 6:2 6:3 |
| თინათინ ჟავლაშვილი (საქართველო) — ანა ჯიქია (საქართველო) | 6:2 6:0 |
| სოფო ძვაცაბაია (საქართველო) — ლია ცანავა (რუსეთი) | 6:3 6:1 |
| ელიზავეტა ტოჩილოვსკაია (1, რუსეთი) — მარიამ ქურდაძე (საქართველო) | 6:3 6:0 |
| იმა ბოპუში (ბელარუსი) — ეკატერინე გორგოძე (7, საქართველო) | 6:4 6:3 |
| ლესია ცურენკო (უკრაინა) — ელინა ჰასანოვა (4, აზერბაიჯანი) | 6:1 6:3 |

**ბორჯომის თასზე** გუშინ მეორე წრის რვა თამაში ჩატარდა და ტურნირის მონაწილეთა რიცხვი რვა ჩოგბურთელამდე შემცირდა. აქედან ხუთი ქართველია. ოთხმა მასპინძელმა კი თასზე ფიქრი დაასრულა. საინტერესოა, რომ ყველა გუშინდელი შეხვედრა ორ სეტში ჩამთავრდა. თან ისე, რომ გამარჯვებულებს სანერვიულოც არ გასჩენიათ. განსაკუთრებით სასიხარულო თათია მიქაძისგან ტურნირის მესამე ნომრის, რუსი აუგუსტა ციბიშევას ძლევა გამოდგა. ჩოგნის დამალითება კიდევ ორ განთესილს მოუხდა და სამწუხაროდ, ერთი ეკატერინე გორგოძე იყო. მას ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან მოხვედრილმა ბელარუსმა იმა ბოპუშმა აჯობა.

დღეს მეოთხედფინალებია და ბორჯომის თასს შერჩენილები ასე დაწყვილდნენ:

**ტოჩილოვსკაია — ძვაცაბაია**
**ცურენკო — ჟავლაშვილი**
**შაფაქიძე — მიქაძე**
**ბოპუში — შაფათავა**



საფრანგეთი — შოტლანდია. ჩვენს ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონებიც იჭყლიტებიან



უკრაინა — იტალია. სამქულიანი ანტონიო დი ნატალე (№11)



კრისტოფ მეცელდერის გერმანიამ ევროშესარჩევისგან რუმინეთის ძლევით დაისვენა



ინგლისი — რუსეთი. რუსების ბაქი-ბუქს წერტილი რიო ფერდინანდმა დაუსვა

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## A ჯგუფი

**ყაზახეთი 2:2 ბელგია**

0:1 გერარტსი (12), 0:2 მირალასი (23), 1:2 ბიაკოვი (39), 2:2 სმაკოვი (74პ)

**ფინეთი 0:0 პოლონეთი**

**პორტუგალია 1:1 სერბეთი**

1:0 სიმაო (11), 1:1 ივანოვიჩი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 11 | 6 | 3 | 2 | 17:9 | 21 |
| ფინეთი | 11 | 5 | 4 | 2 | 11:6 | 19 |
| პორტუგალია | 10 | 4 | 5 | 1 | 19:9 | 17 |
| სერბეთი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:8 | 16 |
| ბელგია | 10 | 3 | 2 | 5 | 10:14 | 11 |
| სომხეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 4:8 | 8 |
| ყაზახეთი | 10 | 1 | 4 | 5 | 8:15 | 7 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:17 | 5 |

## B ჯგუფი

**ლიტვა 2:1 ფარერები**

1:0 იანკაუსკასი (8), 2:0 დანილევიჩუსი (53), 2:1 იაკობსენი (90)

**უკრაინა 1:2 იტალია**

0:1 დი ნატალე (40), 1:1 შევჩენკო (71), 1:2 დი ნატალე (77)

**საფრანგეთი 0:1 შოტლანდია**

0:1 მაკფადენი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 9 | 7 | 0 | 2 | 17:7 | 21 |
| იტალია | 9 | 6 | 2 | 1 | 15:7 | 20 |
| საფრანგეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:3 | 19 |
| უკრაინა | 8 | 4 | 1 | 3 | 10:9 | 13 |
| ლიტვა | 9 | 3 | 1 | 5 | 7:11 | 10 |
| საქართველო | 9 | 2 | 1 | 6 | 14:15 | 7 |
| ფარერები | 9 | 0 | 0 | 9 | 3:29 | 0 |

## C ჯგუფი

**ნორვეგია 2:2 საბერძნეთი**

0:1 კირიაკოსი (7), 1:1 კარეუ (11), 1:2 კირიაკოსი (29), 2:2 რიისე (39)

**თურქეთი 3:0 უნგრეთი**

1:0 უნალი (68), 2:0 აურელიო (72), 3:0 ალტინტოპი (90)

**ბოსნია 0:1 მოლდოვა**

0:1 ბუგაევი (22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:7 | 19 |
| თურქეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 21:8 | 17 |
| ნორვეგია | 9 | 5 | 2 | 2 | 20:8 | 17 |
| ბოსნია | 9 | 4 | 1 | 4 | 14:16 | 13 |
| უნგრეთი | 9 | 3 | 0 | 6 | 8:17 | 9 |
| მოლდოვა | 9 | 1 | 2 | 6 | 5:16 | 5 |
| მალტა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:17 | 5 |

## D ჯგუფი

**სლოვაკეთი 2:5 უელსი**

1:0 მინტალი (12), 1:1 ისტვუდი (22), 1:2, 1:3 ბელამი (34, 41), 2:3 მინტალი (57), 2:4 დურიცა (78ს.კ.), 2:5 დევისი (90)

**კვიპროსი 3:0 სან მარინო**

1:0 მაკრიდესი (15), 2:0, 3:0 ალონეფტისი (41, 90)

**ჩეხეთი 1:0 ირლანდია**

1:0 იანკულოვსკი (15)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8 | 7 | 1 | 0 | 31:4 | 22 |
| ჩეხეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:4 | 20 |
| ირლანდია | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | 14 |
| სლოვაკეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 20:20 | 10 |
| უელსი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:13 | 10 |
| კვიპროსი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:16 | 10 |
| სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 1:43 | 0 |

## E ჯგუფი

**ანდორა 0:6 ხორვატია**

0:1 სრნა (35), 0:2, 0:3 მ. პეტრიჩი (40, 45), 0:4 კრანჩარი (49), 0:5 ედუარდო სილვა (55), 0:6 რაკიტიჩი (64)

**მაკედონია 1:1 ესტონეთი**

0:1 პიროია (17), 1:1 მაზნოვი (30)

**ინგლისი 3:0 რუსეთი**

1:0, 2:0 ოუენი (7, 31), 3:0 რ. ფერდინანდი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 9 | 7 | 2 | 0 | 24:4 | 23 |
| ინგლისი | 9 | 6 | 2 | 1 | 18:2 | 20 |
| რუსეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:4 | 18 |
| ისრაელი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:10 | 17 |
| მაკედონია | 9 | 2 | 2 | 5 | 7:11 | 8 |
| ესტონეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 3:18 | 4 |
| ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 2:36 | 0 |

## F ჯგუფი

**დანია 4:0 ლიხტენშტაინი**

1:0 ნორდსტრანდი (3), 2:0 ლაურსენი (12), 3:0 ტომასონი (18), 4:0 ნორდსტრანდი (36)

**ისლანდია 2:1 ჩრდ. ირლანდია**

1:0 ბიორნსონი (6), 1:1 ჰილი (72პ), 2:1 გილესპი (90ს.კ.)

**ესპანეთი 2:0 ლატვია**

1:0 ხავი (12), 2:0 ფ. ტორესი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:4 | 19 |
| ესპანეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 16:7 | 19 |
| ჩრ. ირლანდია | 9 | 5 | 1 | 3 | 14:11 | 16 |
| დანია | 8 | 4 | 2 | 2 | 13:5 | 14 |
| ისლანდია | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | 8 |
| ლატვია | 8 | 2 | 0 | 6 | 5:9 | 6 |
| ლიხტენშტაინი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:25 | 4 |

## G ჯგუფი

**ბულგარეთი 3:0 ლუქსემბურგი**

1:0, 2:0 ბერბატოვი (27, 28), 3:0 მ. პეტროვი (54პ)

**სლოვენია 1:0 ბელარუსი**

1:0 ლავრიჩი (3პ)

**ალბანეთი 0:1 ჰოლანდია**

0:1 ვან ნისტელროი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 17:5 | 20 |
| ჰოლანდია | 8 | 6 | 2 | 0 | 11:2 | 20 |
| ბულგარეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:6 | 18 |
| სლოვენია | 9 | 3 | 1 | 5 | 9:12 | 10 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:7 | 9 |
| ბელარუსი | 9 | 2 | 1 | 6 | 11:19 | 7 |
| ლუქსემბურგი | 9 | 0 | 0 | 9 | 1:20 | 0 |

# ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## I ჯგუფი

**ფარერები 0:2 საბერძნეთი**

## II ჯგუფი

**სომხეთი 0:2 უკრაინა**

## VI ჯგუფი

**შოტლანდია 0:0 დანია**

## VIII ჯგუფი

**უნგრეთი 2:1 სერბეთი**

## IX ჯგუფი

**ლუქსემბურგი 1:2 ჩრდ. ირლანდია**

## X ჯგუფი

**მალტა 0:2 საფრანგეთი**

# შვეიცარია

## ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

**ლოზანა 1:1 სერვეტი**

# რუმინეთი

## 1 ლიგა. გადადებული მატჩები

**ფარული — დინამო** გადაიდო

**სტიაუა — პანდური** გადაიდო

# ამხანაგური მატჩები

**სინგაპური 1:1 ემირატები**

**მალტა 0:1 სომხეთი**

**სამხრეთ აფრიკა 0:0 ურუგვაი**

**ჩერნიგორია 1:2 შვედეთი**

**გერმანია 3:1 რუმინეთი**

**ოლიმპიაკოსი 2:1 ცრვენა ზვეზდა**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ტორტლაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარუჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge